საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომლისაც ბოჭდ-ვუბი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიბებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 14-15 ივლისი . 2021 წ. №153-154 (9272-9273) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

„ოპოზიციონერო“ ჟურნალისტებო!

მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება ხალხის ბრბოდ გადაქცევას ემსახურებით და რატომ გაოცებთ რუსთაველზე ბრბოდ ქცეული ხალხის აგრესია?!

შემოლაწუნება იტალიიდან

5 ივლისი – ქმედება იწვევს უკუ-ქმედებას

სხვადასხვა მასობრივი ინ-ფორმაციის 53 (ორმოცდაცამეტი!) თანამშრომელიაო 55 (ორ-მოცდათხუთმეტი!) დაზარალე-ბულიდან.

ანუ რა გამოდის?

96.4% დაზარალებულთა საერთო რაოდენობისას წარმოადგენენ.

ეს თანაფარდობები შემთხვევითი რომ არაა, ამას ნებისმიერი, ოდნავ მა-ინც აზროვნების უნარის მქონე მიხვ-დება.

იმ ორი დაზარალებულიდანაც არცერთი არაა ელგებეტეს წარმო-მადგენელი, არც მათი აქტივისტი.

პირველი დასკვნა: რუსთაველ-ზე შეკრებილი ხალხის რისხვა მა-სობრივი ინფორმაციის საშუალე-ბებისადმი იქნა მიმართული და განხორციელებული.

შევეცადოთ მიზეზების დადგე-ნას. გაითვალისწინეთ, ძვირფასო მეგობრებო, რომ მე აქ მხარეს არ წარმოვადგენ. ნამდვილად არ მი-ხარია ის, რაც მოხდა და ნამდვი-ლად მეტკინა ყველა ახალგაზრდა, რომელიც 5 ივლისს დაზარალდა.

მე განვიხილავ მხოლოდ იმ კად-რებს და სურათებს, რაც ყველამ ნახა სხვადასხვა ტელევიზიის ეკ-რანებზე.

გამოქვეყნებული კომენტარე-ბის მიხედვით ვასკვნი, რომ უმე-ტესობამ ეს კადრები გონებით და-ინახა და არა თვალებით.

განვმარტავ — აი, რას ვგულის-ხმობ გონებით დანახვაში: **„მე ვხე-დავ კადრებს და ვხედავ იმას, რაც მინდა.“**

თვალით დანახვაში კი ვგულის-ხმობ: **„მე თვალებით ვხედავ კად-რებს და ყურებით ვისმენ, რას ამ-ბობენ — გონებაში ვხარშავ ნანახ-გაგონილს და გამომაქვს დასკვნა.“**

არაფერი გასაკვირი არ მითქ-ვამს, ხომ?!

უმრავლესობაც ასე არ იქცევა. არადა, რაოდენ სასურველია, ასე რომ იქცეოდეს... ბევრ დროს არ წა-გართმევთ — მოდით, მივყვეთ ნაბიჯ-ნაბიჯ.

იხ. 2-3 გვ.

SOS: არ გამოგდით რევოლუციის SOS: მოდელირება! 6

ქართველ პოლიტიკოსებს ჰგონიათ, რომ ოპოზიციაში გადასვლა არის განსაწმენდელი... და ოპოზიციაში ცხოვრებას იწყებენ ახალი ფურცლიდან“ 4

ისევ აირევი ივერია?!.. 3

ლექსო ლაშქარავა უკანასკნელ გზაზე კოლეგებმა გააცილეს

„ტვ პირველის“ გარდაცვ-ლილი ოპერატორი **ლექსო ლაშქარავა** უკანასკელ გზაზე კოლეგებმა ტაშითა და დაშვე-ბული კამერებით გააცილეს. ლექსო ლაშქარავა გუშინ დაკრძალეს.

ლექსო ლაშქარავა, რომელიც 5 ივლისის მოვლენე-ბის დროს დაშავდა, 11 ივლისს, გამთენიი-სას, საკუთარ სახლ-ში გარდაიცვალა. ოპერატორს 5 ივ-ლისის აქციაზე „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეები, რადიკალურად გან-წყობილი ჯგუფები სასტიკად გაუს-წორდნენ. ის პრო-ფესიულ მოვალეო-ბას ასრულებდა.

გარდაცვლილი ოპერატორის საქმეზე ალტერნა-ტიულ ექსპერტიზას დამოუკიდე-ბელი ექსპერტი ალექსანდრე გე-ჯაძე ჩაატარებს. გარდაცვალების ფაქტს სამედიცინო რეგულირე-ბის სააგენტო სწავლობს. ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტზე ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოში გამოძიება საქართველოს სის-ხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლით დაიწყო. დაინიშნა სა-სამართლო-სამედიცინო ექს-პერტიზა.

5 ივლისი – ქმედება იწვევს უკუქმედებას

ქურნალისტი არ უნდა იყოს მხარე, ქურნალისტი არაა იდეოლოგი, ქურნალისტი სიმართლეს და ობიექტურ რეალობას უნდა აღწერდეს და არა ვინმეს სამსახურში იყოს ჩამდგარი მოთვინიერებული ძაღლივით, ყელზე ბეწვი რომ აქვს გაცვენილი საყელურთან ხახუნის გამო.

(პირველი გვერდიდან)

თუ დააკვირდებით, „შემაჯამებელი“ საღამო ერთ-ერთ ტელეარხზე გახსნა სხვა ტელეარხის უფროსმა, რომლის გვერდითაც ამ და სხვა ორი ტელეარხის სახეები ისხდნენ. ყველაფერში ეტყობოდათ, გამხსნელ წამყვანს ყველა ქვემოდან ზემოთ, როგორც უფროსს, ისეთი მოწიწებით ექცეოდა.

„შემაჯამებელი“ საღამო იგივე გამხსნელმა დახურა. მას უკვე ორი შესციცინებდა სახეში – სულო ცოდვილო და, რუზველტივით შუაში მჯდარ აქეთ-იქით ორი, მასზე რანგით დაბალი კოლეგა ეჯდა...

გადაცემის ბოლოს წამყვანმა კოლეგებს ხელები ზუსტად ისე აუწია, როგორც თვეებით ადრე პარლამენტს გარეთ (და, როგორც ირკვევა, სახელმწიფოსგან დაუფინანსებლად) დარჩენილმა ბატონმა შალვა ნათელაშვილმა პარლამენტში შესულ (და დაფინანსებამიღებულ) ორ კოლეგას.

მოდით, გავიხსენოთ რამდენიმე ეპიზოდი, სადაც ტელევიზიის დიქტორები ტელეეთერში სიძულვილის ტირაჟირებას ეწეოდნენ:

ერთი არხის დიქტორებმა ქვეყანას შიშის ზარის შემცველი ტონით ამცნეს, რომ კახეთში გლეხებმა ტოტალურად აჭრეს ვენახი. მაგალითად კი მოიყვანეს და აჩვენეს უკრაინული წარმომავლობის გვარის მქონე კახელი გლეხი, რომელმაც ტელეკამერის წინ აჭრა ორიოდე ძირი ვაზი.

ეს ამბავი ბოროტი სიცრუე გამოდგა.

ახლა წარმოიდგინეთ – იქ იმ კაცის მეზობლებიდან ვინმეს რომ ყურები აეხლიჩა იმ გლეხისთვის, რა შეიძლებოდა მომხდარიყო?! თან, დაუკვირდით – გლეხს უკრაინული წარმომავლობის გვარი ჰქონდა.

დასკვნა თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო მეგობრებო.

იგივე არხიდან, ამ ბოროტი სიცრუიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ახალი ბოროტი სიცრუე გვამცნეს, იგივენაირი შიშის ზარის დამცემი ტონით – ქართელმა გლეხებმა მოსავალი ტოტალურად გადაყარესო მდინარეში. აჩვენეს კადრები, სადაც რომელიღაც სუბიექტი ატმის ყუთებს მდინარეში ცლიდა.

რამდენიმე დღეში გაირკვა, რომ ესეც ბოროტი სიცრუე იყო.

> **დასკვნა: ზოგიერთი ტელევიზია ზემოქმედებას ახდენს ჩვენს მოსახლეობაზე - ცდილობენ ამყოფონ მუდმივი შიშსა და ისტერიაში.**
>
> **იმავე საქმეს ემსახურებიან სხვა ხმამაღლა მოლაპარაკეებიც - ისინიც შიშსა და უიმედობას, ისტერიის ატმოსფეროს თესავენ საქართველოს მოსახლეობაში.**

ერთი დიქტორი ცალკე მაგალითად მოხმობას იმსახურებს: მის დასახმარებლად მისულ ბიჭებთან (მანქანა ამოათრევინეს თოვლიანი გზიდან) კონფლიქტი მოსვლია. ბიჭებს გაულახავთ. ამან უჩივლა - პროფესიული ნიშნის მიხედვით გამომარჩიეს და გამლახესო.

ჯერ კიდევ სასამართლო მიდის.

გეტყვით, რას ვფიქრობ: ამან და სხვა ტელევიზიებმა შეკრეს პირი და ატეხეს ისტერია, რომ ეს ჟურნალისტზე თავდასხმაა, რომ ეს თავისუფალი აზრის ჩახშობაა, რომ შეტევაა დემოკრატიაზე...

მიაღწიეს თავისას: პროკურორმა წინასწარ პროცესზე ბიჭების ციხეში ჩასმა მოითხოვა, მოსამართლემ კი დააკმაყოფილა და ციხეში ჩასვა სამი ახალგაზრდა ბიჭი – ფაქტობრივად სამ ახალგაზრდას გაუმრუდა სამომავლო გზა.

რას იზამდნენ ის ახალგაზრდები გარეთ?!

მოწმეებზე მოახდენდნენ შთაბეჭდილებას? თუ საზღვარგარეთ გაიქცეოდნენ?!...

გონებაჩლუნგის მეტი, ვინ დაიჯერებს ამ ზღაპარს?

მე, ერთი უბრალო მკითხველი და მათ მიერ ატეხილი ისტერიის (და, სასამართლოს სხდომებიდან გამოსული ამბების) მნახველი ჩემთვის ვასკვნი, რომ ის დიქტორი არაა წმინდა წყლის დამლევი. მას და ბიჭებს ყოფით ნიადაგზე მოუვიდათ შელაპარაკება და გალახეს. მორჩა. მეტი არაფერი. არა, ეს და მთელი ტელევიზიები აწვებოდნენ და აწვებიან, რომ ის ბიჭები კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონო – ამიტომ ჩატოვეს ციხეში.

> **ჩემი სუბიექტური შეხედულება:** დიდი სიამოვნებით გავიდებდი ფეხქვეშ იმ ბიჭების უსამართლოდ წინასწარ ციხეში ჩამსმელებს – თეთრი ძაფითაა ნაკერი ეგ საქმე... ამის მოქმედი ადამიანები კიდევ ბევრ ბოროტებას ჩაიდენენ – ამ სამი ბიჭივით მცირედ დამნაშავე, ან სულაც თავიანთ პროვოკაციაზე წამოგებულ კიდევ ბევრ ადამიანს გაუმრუდებენ გზას.

იმედის ხმამაღლა მოლაპარაკეებს ნუ ეგონებათ რომ ბევრით სჯობიან ჰებელსის და მისნაირების ტელევიზიებს. ამ ტელევიზიის დიქტორი ნარკოლიბერალიზაციის და ნარკომანიის ღია რეკლამირებას შეუდგა ტელეეთერში. ბატონი კაკი ზოიძე დაიხმარა. დიქტორმა მოახერხა და პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ნარკომანი გუკას (აი იმისი, ცენტრ-პოინტის კლიენტების მიერ სახლების ასაშენებლად შეტანილ ფულს რომ სხვა მიმართულება მისცა...) და ნარკომანიის სხვა ცნობილი მერეკლამეების გვერდით დასვა და საკუთარი კომისიის და პარტიის წევრებს დაუპირისპირა.

შედეგი: მეთორმეტე კლასელები სკოლის ეზოს გადაღმა მასწავლებლების დასანახად აბოლებენ კანაფს. იციან, რომ მასწავლებლებს უფლება აღარ აქვთ, გაუწყრნენ, პოლიცია კი ვერ შეეხება...

დაბოლოს, სულ ახლო წარსულის მაგალითი, რომელმაც უკიდურესად შემზარა: ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონის ირგვლივ ატეხილი ისტერია. პანსიონის დახურვის თითქმის ასრულებული ცდილობა.

ვინც ამ კადრებს და ახალ ამბებს უყურა და მოუსმინა, ბევრ მათგანს ჩემსავით დაემართა, ალბათ, უსამართლობასთან შეჯახების და დამარცხების განცდა. შეგრძნება იმისა, რომ მე არაფერს არ წარმოვადგენ. მე ჩემს ქვეყანაში რა და როგორ გავაკეთო, ჰომოსექსუალიზმის მერეკლამეებმა უნდა მასწავლონ. უნდა მაიძულონ ბავშვთა პანსიონი დავხურო და ბავშვები, ღმერთმა იცის ვის ხელში ჩავყარო აღსაზრდელად.

მე მაიძულებენ მხოლოდ საპატრიარქოსთან არსებული ბავშვთა პანსიონები დავხურო. სხვა აღმსარებლობის სკოლები და პანსიონები, სადაც ჩვენს ბავშვებს სხვა ქვეყნების ერთგულებად ზრდიან, ხელშეუხებლები არიან.

ცხადია, ჩემში გროვდება უძალობის შეგრძნებით გამოწვეული ბოღმა... როდის გადმოინთხევა, არავინ იცის.

> ამას ემატება შემზარავი ამბავი – ოჯახიდან აღსაზრდელად სხვაგან გაყვანილმა ბიჭმა თავი მოიკლა... რატომ ჩემს სახლში არ მაბრუნებთო, იყვირა, მაგრამ ჩვენ ვერ გავიგონეთ. სულგაყიდული, საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ორფეხების ხელში მივატოვეთ ის ბიჭი. იმან კი მონახა საკუთარ დედასთან მისაბრუნებელი გზა. მკვდარ სხეულს ხომ მაინც მიიტანენ ჩემს დედასთანო – თავი ჩამოიხრჩო.
>
> **ვინმეს მოჰკითხეს პასუხი, ამ ბიჭის თვითმკვლელობამდე მიყვანის გამო?!... იძნებ მოჰკითხეს და მე არ ვიცი.**
>
> **რომელიმემ აქ ჩამოთვლილთაგან, ტელეყუთებიდან ისტერიულად რომ ბღავიან, მორალური პასუხისმგებლობა იგრძნო იმ პატარა ბიჭის სიკვდილის გამო?!... იძნებ იგრძნო და გამოხატა, მაგრამ მე არ ვიცი?!**

ვგონებ, საკმარისი რაოდენობით მოვიყვანე მაგალითები. ასჯერ მეტი მაგალითის მოყვანა შემიძლია, მაგრამ არაა აქ საკმარისი ფართობი.

რა ჩანს მოხმობილი მაგალითებიდან?

> **საქართველოს ტელეეთერებს დაეპატრონნენ ისინი, ვინც ეწევა უმსგავსობის, აღვირახსნილობის პროპაგანდას (გონებაჩლუნგებმა, ვინც თვლით, რომ ეს არაა მართალი, ცივი წყალი დალიეთ და დღეს მაინც გაჩუმდით) – 4 ივლისის კადრები ელგებგბეგეძუს ლისის ტბიდან რეპორტაჟისა ამაში გვარწმუნებს. მე არ ვიცი, აღძრეს თუ არა საქმე სახალხოდ კოცნაობაზე (ორი ბიჭი ლოშნიან ერთმანეთს კადრებში).**

ქუჩაში ან სკვერში ბიჭმა რომ საცოლეს აკოცოს, გვარიანი ჯარიმაა. აქ კი, ტელევიზიით და ინტერნეტითაა გავრცელებული კადრები – პროკურატურა და მისი მესვეურები დუმან.

ისინი ზემოთ ნახსენები დიქტორების და ამ აღვირახსნილობის მერეკლამეების გავლენის ქვეშ არიან – ვერ ბედავენ კანონის აღსრულებაზე დაძრან სიტყვა.

იმედი მაქვს, დიდხანს არ გაგრძელდება ასე.

იმედი მაქვს, მალე დაესმება წერტილი განუკითხაობას!

> **ამის იმედს ახალგაზრდა თაობა მაძლევს – ის თაობა, რომელმაც (მაშინ როცა დედაქალაქში მამათმავლობის რეკლამირებას ეწეოდნენ ჩვენი ტელევიზიები) ზღვის ნაპირი დაასუფთავა.**
>
> **ის თაობა, რომელმაც ორი კვირის წინ რიონში გადაარჩინა ერთი ბიჭი, 5 ივლისს კი მტკვარში გადაარჩინა 14 წლის გოგონა დახრჩობას, თვითონ კი დაიღუპა – დიახ, შოთა ქარსელაძისთანა ბიჭები და თაობა დაგისვამთ წერტილს სუყველას!...**
>
> **ღმერთო, შეეწიე და ადღეგრძელე ეს თაობა!**

ამ დღეებში თავზარდაცემული ვარ – ჩემთვის მეტად ძვირფასი მეგობარი შეეწირა კოვიდს, გოშემ, ამ დიდმა ქართველმა საკუთარი სიცოცხლე შესწირა ერთი პატარა გოგონას გადარჩენას, ისევე როგორც მისმა დიდმა ძმამ, გურამ რჩეულიშვილმა. გოშემ გურამის დაბადების დღეს შესწირა სიცოცხლე.

ამ დღეს ტელევიზიებს უნდა ეყვირათ – „გახსოვდეს კამანი!“ კამანის ბრძოლის წლისთავი იყო, სადაც ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი, ერთმანეთის მჭამელი ქართველები კამანელ ქალებთან და კაცებთან ერთად მათზე გაცილებით მრავალრიცხოვან მტერს ძველებურ-ქართულად ერთად შეასკდნენ და ძალიან ძვირადაც დაუსვეს თითოეულის სიცოცხლე.

აი, ამ ამბებზე უნდა ელაპარაკათ, ეყვირათ, ებღავლათ ტელევიზიებს. არაფერი ამის მსგავსი – გაიმართოს თუ არა ელგებეტექუს ღირსების მარში?! – აი, ეს იყო მთავარი თემა.

> **მთავარი დასკვნა:** ტელევიზიები არ დგანან ჩემი ქვეყნის სამსახურში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, უპირველესად ტელევიზიებმა, ყველაფერი გააკეთეს, რომ ჩემი ხალხი ბრბოდ ექციათ. თავიანთი ქვენა გრძნობების, გაურკვეველი პოლიტიკური მიზნების გამო, ყველაფერს აკეთებდნენ და აკეთებენ, რათა საქართველოს მოსახლეობა ან მინიმუმ მისი დიდი ნაწილი ბრბოდ, დამჯერ ბრბოდ აქციონ.
>
> რაც ივლისის 5-ს თბილისში მოხდა, მოწმობს, რომ თქვენ, ტელევიზიების დიქტორებო და სხვებო, მიაღწიეთ მიზანს – თითქმის ბრბოდ აქციეთ ხალხი. ოღონდ თქვენ დამჯერ ბრბოდ ვერა.
>
> სწორედ თქვენ მიერ ბრბოდ ქცეულმა და წოდებულმა ხალხმა მომართა მთელი დაგროვებული ბოღმა და ზიზღი თქვენდამი – მათდამი, ვინც ხალხის კოლექტიური ჭკუით დამნაშავეა იმ ატმოსფეროში, რაც ქვეყანაშია.
>
> სხვა ახსნას მე ვერ ვხედავ.

* * *

ზედმეტად მიმაჩნია, **შარლი ებდოს ისტორია გაგახსენოთ. უბრალოდ, მეშინია რომელიმე გონებაჩლუნგმა ტერორისტების მხარდაჭერა არ დამაბრალოს.**

მათ 2006 წელს წინასწარმეტყველ მუჰამედის სკანდალური კარიკატურები გამოაქვეყნეს – ფაქტობრივად მუსლიმან ტერორისტებს დასცინეს. ამან მუსლიმანურ სამყაროში, უბრალო მორწმუნეებში, მართულ ფენებში გამოიწვია უკიდურესი პროტესტი.

2011 და 2015 წელს ისევ გაიმეორეს მათი „აზრების და იდეების თავისუფალი გამოხატვა“. ისევ მუსულმან მორწმუნეთა რწმენისა და ღირსების დაცინვის ფონით. ამას კი, ძალიან სისხლიანი ტერორისტული აქტები მოჰყვა ბნელი ტერორისტების მხრიდან. ძალიან სისხლიანი – შემზარავი კადრები დღემდე გვახსოვს...

ექვსი წელიწადი გავიდა, აღარ აქვეყნებს შარლ ებდო მუსულმან მორწმუნეთა რწმენისა და ღირსების შემლახავ კარიკატურებს. ექვსი წელიწადია, ტერორისტული აქტები აღარ განხორციელებულა შარლ ებდოზე. ღმერთმა ქნას, აღარასოდეს განხორციელდეს.

* * *

ახლა კი სხვა სურათს განვიხილავ თქვენთან ერთად.

რატი წვერავა, რომელიც გალახეს, ძალიან შემეცოდა... მასთან ერთად ყველა დაზარალებული შემეცოდა. გულწრფელად შემეცოდნენ ის 53-იც და ის ორიც, რომელთაგან ერთი ტურისტი ყოფილა, ერთი კი ცნობილი და პატივცემული ადამიანის შვილიშვილი.

ყველანი, ვინც რატის და სხვა ტელევიზიების თანამშრომლებს ფიზიკურად გაუსწორდნენ, ადამიანის გონებით ვერ დაიკვეხნიან – ბრბომ ქნა ეს ამბავი.

უხიაგი უნდა იყო, რომ არ შეგეცოდოს გალახული ადამიანები, ვინც თავისი ჭკუით, თავის პროფესიონალურ მოვალეობას ასრულებდა.

მე სხვა მხრიდანაც ძალიან შემეცოდა რატი. იმ „სხვა“ მხრიდან უფრო მეტად შემეცოდა. გალახვა ქორწილამდე ნამდვილად დაავიწყდება. არ მინდა, ბოღმა ჩაიდოს გულში...

ᲘᲡᲔᲕ ᲐᲘᲠᲔᲕᲘ ᲘᲕᲔᲠᲘᲐ?!..

5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ უთუოდ შევა საქართველოს უახლეს ისტორიაში დიდი ტკივილისა და დიდი გამოცდის სიმბოლოდ. ოღონდ, რა თქმა უნდა, არა ხელისუფლების ძალადობად ჟურნალისტებზე, როგორც ამას ჯიუტად ცდილობს ზოგიერთი მანქურთი, თავს მოახვიოს საზოგადოებას.

მაგალითად, ნაცმოძრაობის ვითომ ლიდერი ნიკანორ მელია სოციალურ ქსელში თავდაჯერებით წერს: „მოძალადეებზე უფრო საშიშია ყველა მოქალაქე, რომელიც იჯერებს, რომ დარბევებსა და ძალადობაში ხელისუფლება არაფერ შუაშია. ამ ხალხის რწმენით სულდგმულობს ბიძინას ხელისუფლება. ქუჩაში მორბენალ ორკზე უარესია კაბინეტში გამოჯგიმული კუჭავა, რომელიც „ვიშვიშებს“ და „გმობს“ ძალადობას.

როგორც ვხედავთ, სერიოზული (ყოველ შემთხვევაში ყველაზე დიდი) ოპოზიციური პარტიის არასერიოზულმა ლიდერმა უკვე მიაგნო ბოროტების სათავეს და მომენტის შესაფერისად უმალ შეიმუშავა მოქმედების სქემა: „იწყება ბრძოლა კონკრეტული გეგმით და ოქტომბერში დამთავრდება კიდეცო“, თუმცა, თავდაპირველად საქმის სულ რამდენიმე საათში დასრულებას აანონსებდა.

ყველას გასაოცრად ქართველმა ტელეჟურნალისტებმა აიტაცეს მელიას მოწოდება „ხელები ნაჯახს, მოქალაქენო“ და დამნაშავე, მოძალადე, ჟურნალისტების მკვლელი ხელისუფლება მიწაში ჩადეს.

არადა, ჟურნალისტს უფლება არა აქვს რომელიმე მხარე მოიხსენიოს ისე, რომ ამ მოხსენიებაში აღნიშნული ჯგუფის ღია ან ფარული შეფასება იყოს. ქართულ ტელევიზიებსა და პრესაში ამ ბოლო დროს დამკვიდრებული გამოთქმები არის ჟურნალისტიკის აქსიომური წესების დარღვევა.

„საფრანგეთში გვყავს ძალიან აგრესიული მანიფესტანტები, განსაკუთრებით „ყვითელი ჟილეტები“ და არანაკლებ მოჩხუბარი მარი ლეპენის „ეროვნული ერთობის“ მომხრეები, მაგრამ ვერსად ვერ ნახავთ, რომ ფრანგი ჟურნალისტები მათ „სიძულვილის ჯგუფებად“, „აგრესიულ ბრბოდ“, „ორკებად“ და ა. შ. მოიხსენიებდნენ. ჟურნალისტის მოვალეობაა ფაქტის მოყოლა და არა განსჯა“, — წერს საფრანგეთში მცხოვრები ცნობილი ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე.

ოდენ ფაქტების მოყოლა კი არა, ქართველი ტელეჟურნალისტების ერთმა ნაწილმა „საკუთარი გზით“ სვლა გადაწყვიტა და ახლა **ნიკა გვარამია, ინგა გრიგოლია, ვახო სანაია** და სხვები „რევოლუციას“ უდგანან სათავეში. ბეჯითად მიჰყვებიან და შემოქმედებითად ავითარებენ „გამოჩენილი“ პოლიტიკოსების **ნიკანორ მელიას, გიგა ბოკერიას, ელენე ხოშტარიას, თინა ბოკუჩავას** და სხვათა „მიზანდასახულობებს“ და მოქალაქეებს ბარიკადებისკენ, დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებენ, ხელისუფლებას კი „ხვალ 12 საათამდე გადადგომას“ უბრძანებენ!

მათ აღაფრთოვანებთ 12 ივლისს პარლამენტში დატრიალებული უმსგავსი ამბავი, როცა თინა ბოკუჩავამ „დაიპყრო“ პარლამენტის თავმჯდომარის ადგილი და თავისზე არანაკლებ ეგზალტირებულ რამდენიმე დეპუტატ ქალთან ერთად წივილ-კივილით შეეცადა სხდომის ჩაშლას; ასევე ელენე ხოშტარიას ხულიგნური ქმედება, როცა მან მთავრობის კანცელარიის შესასვლელი კარები და კიბეები წითელი საღებავით მორწყო.

ოპოზიციამ ყველაფერი გააკეთა არეულობის მოსაწყობად და ქართველი ტელეჟურნალისტების ერთი ჯგუფის მხარში დგომით მიაღწია კიდეც ამას.

საკმარისია!

შემდეგი სვლა ხელისუფლებას ეკუთვნის. „რევერანსების“ დრო აღარ არის, მოვლენათა მსვლელობა სწრაფად და გადამჭრელად მოქმედებას მოითხოვს. ხალხი დაიღალა, ხალხი გაღიზიანდა. როცა ხალხს ვამბობთ, სულაც არ ვგულისხმობთ მხოლოდ პარლამენტის წინა მოედანზე დღიან-ღამიანად მდგომ რამდენიმე ასეულ კაცს, „ხალხში“ სრულიად საქართველოს მოსახლეობა იგულისხმება, რომელიც ფხიზლად აყურადებს მოვლენებს და მზად არის, საჭიროების შემთხვევაში თავისი სიტყვა თქვას.

კიდევ ერთხელ მახსენდება დიდი გალაკტიონის ცნობილი სტრიქონები:

აი რა მზის სიზმარია,
აირევი ივერია,
აი დროშა აშორდია
აერების სიბერეა...

ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იგი ახალგაზრდა ბიჭია. სტუდენტი ვარო, ერთ სცენაში უპასუხებს კითხვს — აბა, აქ ძალადობას სადა ხედავო (ეს ხდება ქაშუეთის წინ მიმდინარე მიტინგის ფონზე. სადაც ეკლესიის მსახურები ლოცვებს კითხულობდნენ). ძალადობა მართლა არ ჩანს იმ მომენტში. რატისაც არაფერი ეტყობა, რომ ვინმე ემუქრებოდეს ან მასზე ძალადობდეს.

რატიმ არაფრით არ თქვა, რომ იქ, იმ მომენტში ძალადობას ადგილი არ ჰქონია (გონებაჩლუნგებს უნდა ავუხსნა, რომ ნამდვილად არ ვფიქრობ, ახია ამ ბიჭზე-მეთქი. ძალიან მეცოდება, ამ კუთხითაც).

რატომ არ თქვა?

ხომ ხედავდა, რომ მაშინ არანაირ ძალადობას ადგილი არ ჰქონია?

ახალგაზრდა კაცი, რომელიც ხვალ ჟურნალისტი უნდა გახდეს, დღეს კი, ჯერ კიდევ სტუდენტი, უკვე ფორმულას რეპორტიორია, მიავლინეს რუსთაველზე მიმდინარე მოვლენების გადასაღებად — მისმა უფროსებმა გაწირეს ეს ბიჭი. ბიჭმა არაფრით არ თქვა, რომ ძალადობას ვერ ხედავდა. გულში ნამდვილად ფიქრობდა, რომ უფროსების დავალებას სწორად ასრულებდა. რომ უფროსებს ესიამოვნებოდათ მისი მუშაობის შედეგი.

რატომ ვფიქრობ ასე?

მესამე კურსის სტუდენტს ამხელა საქმე განდეს, თან თავში ჩაგიჭედეს შენი ტელევიზიის მიმართულება, შენ გინდა, თუ არა, — ეთანხმები თუ არა, — მაინც უნდა თქვა ის, რაც უფროსებს ესიამოვნებათ.

მისი ცემის კადრები რომ აჩვენეს (ძნელი საყურებელია. რამდენიმე რეგვენი რომ ერთ ბიჭს ერევა და ურტყამს), განაცხადა — **„იქ იყვნენ სასულიერო პირები, რომლებიც ფიზიკურად მისწორდებოდნენ“**-ო.

ამ ფრაზამ გამაოგნა. მან ვერ დაინახა, ორი მღვდელი რომ იცავდა.

მერე იმეორებს, რომ არ ახსოვს, ეს ორი სასულიერო პირი იცავდა თუ ფიზიკურად უსწორდებოდა.

ეს კადრები მრავალმა ვნახეთ.

არ მაპატიებს არავინ სიცრუეს და ტყუილს — მე ვხედავ, როგორ იცავს რატის ორი სასულიერო პირი. მათ გამოარიდეს გავეშებულ ბრბოს ახალგაზრდა კაცი. მათ ის გადაარჩინეს. არავინ იცოდა, რა შეიძლება მომხდარიყო, რომ არა ის ორი მღვდელი.

ახლა თვითონ რატის მივმართავ:

> **რატი, შენ ახალგაზრდა კაცი ხარ. შენ ხვალ ჟურნალისტი გახდები. იყო ჟურნალისტი, იყო რეპორტიორი, ნიშნავს, არ იყო მხარე.**
>
> **შენ უნდა აღწერო ის, რაც ხდება და არა ის, რაც გინდა, რომ მოხდეს.**
>
> **ესაა, რატი, რეპორტიორის საქმე და საკეთებელი!**
>
> **კიდევ ერთი, რატი, — შენ და შენი თაობა ხვალ ამ ქვეყანას ჩაიბარებთ. ქვეყანას აუცილებლად სჭირდება სწორი იდეოლოგია და მომავლის რწმენა. ნამდვილი, ადამიანური მაგალითები სჭირდება.**
>
> **რატი, იმ დღეს 5 ივლისი იყო — კამანში ერთი დიდი ბრძოლის წლისთავი. ნახე, შვილო, ინტერნეტშიც შეგიძლია მოძიება, რა არის კამანი ჩვენთვის.**
>
> **5 ივლისი გურამ რჩეულიშვილის დაბადების დღეა. წაიკითხე ეს ბრწყინვალე მწერალი, შვილო! წაიკითხე! გაიგებ, რომ გურამმა საკუთარი სიცოცხლე სხვისი სიცოცხლის გადარჩენას შესწირა...**
>
> **იმ დღეს, კიდევ ერთი ამბავი მოხდა, რატი — ამბავი, რომელმაც გული მომიკლა, გული მოგვიკლა და ამავდროულად დიდი იმედიც ჩაგვისახა ქართველებს. გახსოვდეს შოთა ქარსელაძე, გოშე! ამ ბიჭმა ერთი რიონში გადაარჩინა დახრჩობას დღეების წინ. 5 ივლისს კი, ვიმეორებ, გურამ რჩეულიშვილის დაბადების დღეს, გოგონა გადაარჩინა მტკვარში დახრჩობას, თვითონ კი დაიღუპა.**
>
> **შენს ადგილას გოშეს შესახებ ფილმს გავაკეთებდი, სადაც შენივე თანატოლებს უბრალოდ ეტყოდი — აი, გოგოებო და ბიჭებო, ეს ბიჭი გმირია. 4 ივლისს ის ჩვენგან, თქვენგან, ჩვენნაირებისგან არაფრით არ განსხვავდებოდა, დღეს კი გმირია.**
>
> **აი, რატი, ამას ვეტყოდი, შვილო, შენს თანატოლებს.**

* * *

ᲐᲮᲚᲐ პოლიტიკოსებიდან ჟურნალისტებზე გადავიდეთ. ბრბო ყველგან და ყოველთვის პოლიტიკოსებს ან თავის გამამწარებელ მევახშეებს და ჩარჩებს ერჩის.

ჩემი აზრით, თუ რატომ მოხდა, რომ 5 ივლისს ბრბო სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანამშრომლებს დაერია — ესეც აგიხსენით.

წარმოიდგინეთ, რუსთაველზე რომ მანანა იაშვილი მისულიყო, ვინმე ხელს აწევდა?

არ აწევდა, ცხადია. მანანა იაშვილს არავინ გაუბედავდა. ჟურნალისტია და იმიტომ.

თეონა რომ მისულიყო., გოგნიაშვილი, იქნებ მისთვის გაებედა ვინმეს? არა, არც თეონა წერს იმას, რაც უნდა. ის წერს იმას, რაც არის. ჟურნალისტია და იმიტომ.

გია რომ მისულიყო გაბრიჭიძე?! (არ ვიცი, შეიძლება, იყო კიდეც). გიაზე არაფერს ვიტყვი, მეგობარია ჩემი და ვინმემ ნეპოტიზმი არ დამაბრალოს.

ია მისულიყო, მამალაძე. არც მის მიმართ აუწევდა ვინმე ხმას — იმიტომ, რომ ია ჟურნალისტია. ანუ ის იმას აღწერს, რაცაა და არა იმას, რაც მის ზემდგომს უნდა.

კიდევ ერთ, შემთვის მეტად მტკივნეულ მაგალითს და ამავე დროს ამაღლებელ მაგალითს მოვიყვან.

წარმოიდგინეთ რუსთაველზე გავეშებული ხალხის თუ ბრბოს წინ აღმოჩენილიყო მაკა რაზმაძე. დარწმუნებული ვარ, ბრბო საერთოდ შეწყვეტდა დიქტორების და ოპერატორების შეურაცხყოფას.

რატომ?

იმიტომ რომ მაკა რაზმაძე ჟურნალისტია, ვინც სოხუმში მტერს არ შეუშინდა, ვინც დაიჭრა ფიზიკურად და ვინც ძმა დაკარგა ჩვენს სამამულო ომში. დღეს მაკა რაზმაძე გადაცემას არც ერთ არხზე არ უძღვება. ლამისაა ვიფიქრო, რომ დღეს ჟურნალისტზე, რომელიც გარეგნულად და შინაგანად ერთნაირად მშვენიერია, რომელიც აღწერს იმას, რასაც ხედავს და აუდიტორიას აჩვენებს იმას, რაც ხდება სინამდვილეში, მოთხოვნილება აღარაა.

კიდევ რამდენიმე ჟურნალისტის ჩამოთვლა შემიძლია — მაპატიეთ, ძვირფასო მეგობრებო, არავინ მინდა გამომრჩეს, იმიტომ შემოვიფარგლე რამდენიმე მაგალითით — მაგრამ, ვფიქრობ, ესეც კმარა, რომ გაჩვენოთ მთავარი: **ჟურნალისტი არ უნდა იყოს მხარე, ჟურნალისტი არაა იდეოლოგი, ჟურნალისტი სიმართლეს და ობიექტურ რეალობას უნდა აღწერდეს და არა ვინმეს სამსახურში იყოს ჩამდგარი მოთვინიერებული ძაღლივით, ყელზე ბეწვი რომ აქვს გაცვენილი საყელურთან ხახუნის გამო.**

დაბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა, გავუმეორო, ზემოთ ერთხელ ნახსენებ, უხსენებლებს და მათ მსგავსებს: **ქალბატონებო და ბატონებო, მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება ხალხის ბრბოდ გადაქცევას ემსახურებით და რატომ გაოცებთ რუსთაველზე ბრბოდ ქცეული ხალხის ქცევა?**

ეს თქვენი გამარჯვება უფროა — დიახ, თქვენ და თქვენისთანები, ხანდახან, აღწევთ ხოლმე მიზანს. კიდევ კარგი, მხოლოდ ხანდახან...

„ქმედება იწვევს უკუქმედებას“ — ნიუტონის აღმოჩენილი ეს კანონი მხოლოდ ფიზიკის არაა. იგი უნივერსალური კანონია. მის მოქმედებას ვერავინ შეაჩერებს დედამიწის ზურგზე.

მე ყველანი მეტკინეთ, დაზარალებულო მეგობრებო. ღმერთი იყოს თქვენი შემწე ყველა კარგ და საქართველოს საქმეში.

უნდა ვაღიარო, თქვენზე მეტად, შოთა მეტკინა, ქარსელაძე. ბიჭი, რომელსაც, თურმე, გოშეს ეძახდნენ...

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲜᲔᲠᲒᲐᲫᲔ,
ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ 7, 2021
ᲘᲢᲐᲚᲘᲐ, ქ. ᲞᲐᲕᲘᲐ

„ᲤᲔᲘᲯ-ᲜᲘᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲘᲗ, ᲤᲐᲠᲩᲐᲙᲔᲑᲝ!“

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ For.ge-ს მთავარი რედაქტორი გიორგი იაკობაშვილი სოციალურ ქსელში შემდეგი შინაარსის პოსტს აქვეყნებს:

„უკაცრავად, მაგრამ, რომელი პროფესიის წარმომადგენელთა გალახვა შეიძლება პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს? ვინც იცის, იქნებ, სია მოგვაწოდოთ, გთხოვთ.

მაგ. შეიძლება თუ არა პურის მცხობელის ცემა მაშინ, როცა ცომს თონეში აკრავს?

ან, შემიძლია თუ არ ვცემო ტაქსისტი მოძრაობის დროს, როდესაც ორ დიპლომზე მელაპარაკება?

შეუძლია თუ არა, სტუდენტს სცემოს ლექტორი დაფასთან, აუდიტორიაში?

რა გითხრათ... არ მგონია, რომ ვინმემ ასეთი სია დადოს... და, იქნებ, ისეთი სია დავდოთ, აი, ვისი ცემა შეიძლება, როგორც კი პროფესიული მოვალეობის შესრულებას დაამთავრებს.

მაგალითად, პურის მცხობელის, როგორც კი თონედან თავს ამოყოფს, ან ტაქსისტის, როგორც კი სადარბაზოსთან გააჩერებს ან ლექტორის, როგორც კი ზარი დაირეკება..

მითხარით, ძალიან დამავალეთ.

არ დაიდება ასეთი სია და ამიტომ ჭეშმარიტად გეკითხებით თქვენ:

რატომ უნდა ჰქონდეს ამ მხრივ პრივილეგია 21 წლის გაუნათლებელ გოგონას, რომელსაც პროდიუსერმა მიკროფონი მიაჩეჩა და უთხრა: წახვალ ახლა, გვირაბთან დადგები და იტყვი, რომ მატარებელი არ შეეტია“.

ჰოდა, მეგობრებო, ასე მგონია, რომ არავის ცემა არ შეიძლება — არც ჟურნალისტის, არც მცხობელის, არც ლექტორის, არც მძღოლის...

ფეიკ-ნიუსების საწინააღმდეგო კანონი გამოუშვით, ფარჩაკებო. ასე უფრო დაიცავთ ჟურნალისტებს.

დადგება ის გოგო გვირაბთან და იტყვის: შეეტია, ხალხო, შეეეტიაااااა... — წერს გია იაკობაშვილი

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ: ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲘᲔᲕᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲔᲕ „ᲛᲘᲜᲬᲝᲚᲐᲖᲔ“ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ

„ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ფსიქოზამდე მიიყვანენ. ამ ოპოზიციის პირობებში, ამ წლების მანძილზე, ერთი კვირა არ გვიცხოვრია მშვიდად. კიევიდან ისევ მიწოლაზე საუბრობს. ელოდებით, ალბათ, რომ მთელი ხალხი დადგეს ფეხზე და გითხრათ — არა — რადიკალიზმს, არა — წარსულს!“, - წერს სოციალურ ქსელში ექსპერტი ამირან სალუქვაძე.

მისი თქმით, პატარა პარტიებისთვის, ამ პროცესში რადიკალიზმის მხარეს დგომა არ იქნება მომგებიანი. **„ახალ ან პატარა პარტიებს, გასუსულები ან ჩასაფრებულები რომ ხართ, მასე არ გამოვა. დღეს რადიკალიზმის მხარეს დგომა არ იქნება თქვენთვის მომგებიანი. საზოგადოებაში სხვებიც გამოჩნდებიან, ვისაც პოლიტიკოსობა შეუძლია. რისთვის იღებთ ბიუჯეტის დაფინანსებას? ჟურნალისტებო, დაუბრუნდით სტუდიებს. ცხოვრებაში არ გღირსებიათ ასეთი სიტყვის თავისუფლება და არც გეღირსებათ, თუ არ გაუფრთხილდებით, მაშინ პოლიტიკაში წადით. რაც მოხდა 5 ივლისს, დაგმო ყველა საღად მოაზროვნემ. ვინც 5 ივლისს ჟურნალისტებზე იძალადეთ, გრძნობთ პასუხისმგებლობას მომხდარზე? გაწყობდათ ვითარების ასე განვითარება? მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ სურს ქვეყნის, ეკონომიკის, ადამიანთა ფსიქიკის რყევები“** — წერს სალუქვაძე. როგორც ექსპერტი აღნიშნავს, მოსახლეობას „ქართული ოცნების“ შემდეგ, სურს არა ყოფილი ხელისუფლება, არამედ არსებულზე უკეთესი მთავრობა. მისივე თქმით, დღეს განვითარებული პროცესები თავდაყირა აყენებს 19 აპრილის შეთანხმებას.

მოსახლეობას „ქართული ოცნების“ შემდეგ სურს არა ყოფილი ხელისუფლება და წარსული, რომელსაც არ შესწევს განახლების და ძველი დანაშაულების გაანაზრების უნარი, არამედ სურს არსებულზე უკეთესი მთავრობა. უკეთესი ძალები არსებული ოპოზიციიდან ვერ გამოიძერწება, თუ ვერ მოახერხებენ „ფანჩატურიდან“ და გავლენებიდან გამოსვლას. დღეს განვითარებული პროცესები თავდაყირა აყენებს 19 აპრილის შეთანხმებას. ევროპამ გასაგებად თქვა, რომ მათი მეშვეობით ე.წ. ფასილიტაციას აღარ ექნება ადგილი. ყველა, ვინც პოსტებს და კომენტარებს წერთ, კარგად დაფიქრდით, ნორმალური პოლიტიკური პროცესისკენ მოუწოდებთ თუ რადიკალიზაციისკენ. შეურაცხყოფები, იარლიყები, მივარდნები, სპეკულაციები, ძიძგილაობები ცხოვრების წესად იქცა. ეკლესიაზე შეტევამ პიკს მიაღწია. პოლიტიკოსებო, თქვენ დაამთავრეთ ეს მავნე დღის წესრიგი. ნუ ცდით მოსახლეობის სიმშვიდეს, ნუ არყევთ ქვეყანას!“

ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში ვიდეოს აქვეყნებს და ვიდეოში აღბეჭდილ ერთ-ერთ პოლიციელზე წერს: ეს ტიპაჟი ჩვენ დროს გააგდეს პოლიციიდან, „ნარკოტიკების სისტემატური მოხმარების“ გამო და ამათ დააბრუნეს. ეს არის მათი პოლიციის სახე, მსოფლიოში არ არსებობს რეჟიმი, რომელმაც შეიძლება ასეთი პოლიციელების მეშვეობით გაძლოს. ახლა უნდათ, ერთი კარგი მიწოლა და აორთქლდებიან, როგორც შარშანდელი თოვლი“, — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ: ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ ᲰᲒᲝᲜᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲬᲛᲔᲜᲓᲔᲚᲘ... ᲓᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲣᲠᲪᲚᲘᲓᲐᲜ

ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝ�გᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ განცხადებით, ეს მხოლოდ ორთაბრძოლაა, შეცდომების ერთმანეთისთვის წამოყვედრება. სინამდვილეში შეცდომების გამოძიება და ბოლომდე მიყვანა არ შედის როგორც „ქართული ოცნების“, ასევე გიორგი გახარიას ინტერესებში. როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, გახარიას და „ქართულ ოცნებას“ ერთი ისტორია აქვთ, შეიძლება ძალიან ხანმოკლე, მაგრამ ერთად გაიარეს გზის ეს მონაკეთი...

— გიორგი გახარიას განცხადებით, ის რაც ვნახეთ, წარმოუდგენელი იყო, სახელმწიფომ ვერ დაიცვა მოქალაქეები. ეს მაშინ, როდესაც ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიოგრაფიაშია 20 ივნისის ღამე; მესტიის და პანკისის ხეობის სპეცოპერაცია; კლუბ ბასიანის სპეცოპერაცია. როგორ ფიქრობთ, რამდენად გულწრფელია გახარია თავის შეფასებებში, ოპოზიციიდან ადვილია, აკრიტიკო ხელისუფლება — ამ გზას ირჩევს გახარია?

ლევან ლორთქიფანიძე: პირველ რიგში, აღვნიშნავ იმას, რომ გიორგი გახარიას რომელიმე სპეცოპერაციის ჩავარდნაზე საუბრის არც მორალური და არც პოლიტიკური უფლება არ აქვს. მთელი მისი მინისტრობის პერიოდი, როდესაც იგი შს მინისტრი გახლდათ, შემდეგ უკვე პრემიერ-მინისტრი — აღბეჭდილი არის სწორედ ჩავარდნილი სპეცოპერაციებით. ასეთი იყო 20 ივნისი, მართალია, დეტალებში ამ საქმეს არ ვიცნობ, მაგრამ თვალსაჩინოა 20 ივნისს რაც მოხდა. ადამიანებს თვალები დათხარეს, უამრავ ადგილას მოხდა არაპროპორციული ძალის გამოყენება.

გიორგი გახარია ხმას არ უნდა იღებდეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოხდა პანკისის ხეობაში. გახსოვთ, რომ ერთი ტრაქტორისა და ერთი სამმეგავატიანი ჰესის საძირკვლის ჩაყრის გამო გახარიამ სპეცდანიშნულების რაზმი შეიყვანა პანკისის ხეობაში. ხეობაში, რომელიც წლების განმავლობაში არის ურთულესი ადგილი, იმიტომ, რომ იქ სხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს, იქ არსებობენ ისლამური ჯგუფები. ესეც კი ვერ გაითვალისწინა და მოხუცები გაალახინა პოლიციას.

— ვერ გაითვალისწინა, თუ არ გაითვალისწინა?

— თავისი არაპროფესიონალიზმიდან გამომდინარე, ვერ მოახერხა და ვერ დაგეგმა შესაბამისი ღონისძიებები პანკისის ხეობაში. იმიტომ, რომ ის არის ძალის პოლიტიკოსი, ყოველთვის ასე ფიქრობდა — ძალა აღმართს ხნავს და ეგონა, რომ პანკისის შესანიშნავ მოქალაქეებსაც ამ ძალით გაუსწორდებოდა, ხმას არავინ გასცემდა და წინააღმდეგობას არავინ გაუწევდა. რეგიონი ვერ შეაფასა, ძალა ვერ შეაფასა და შევარდა. ლამის სისხლი დაღვარა და ლამის ეთნიკური კონფლიქტი გამოიწვია, როდესაც თვითონ შს მინისტრი გახლდათ. ამიტომაც, 5 ივლისის სპეცოპერაციაზე მას საუბრის უფლება არ აქვს.

— ამბობს, რომ ქართული ეკლესია იყო და იქნება პრაიდის წინააღმდეგი. ამიტომ კი არ უნდა ვცემოთ ერთმანეთი, არამედ დავსხდეთ და ვისაუბროთ. ის ამბობს, რომ პრაიდის მონაწილეთა უფლებები სახელმწიფომ უნდა დაიცვას და არა ისე, რომ გაგვაფრთხილოს, წავიდეს და ბუჩქებში დაიმალოს. ბუჩქებში დამალვაში გულისხმობს პრემიერს და შს მინისტრს. ეს მაშინ, როდესაც, თავად როგორც პრემიერი, პრაიდის ორგანიზატორებს ალტერნატიულ ადგილებს სთავაზობდა, რადგან დაცვის პირობას ვერ აძლევდა...

— მაგას რომ თავი დავანებოთ და ისევ ძველ საკითხს დავუბრუნდეთ, როდესაც შენ ხარ შს მინისტრი და შემდეგ პრემიერ-მინისტრი, შენ ქმნი იმ საპოლიციო სტრუქტურებს, შენ ატარებ რეფორმებს, შენ აძლევ ინსტიტუციურ სახეს და ხასიათს პოლიციას, სპეცრაზმს და სხვა იმ სტრუქტურებს, რომლებიც შენი დაქვემდებარების ქვეშ არიან. ასე რომ, 5 ივლისს თუ პოლიცია მოწოდების სიმაღლეზე არ იყო, ეს შენი დამსახურებაც არის.

ე.ი. შენ ვერ გაატარე სათანადო რეფორმები, ვერ აღზარდე სათანადო კადრები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სამოქალაქო მშვიდობას იმ დღეს ქალაქში. ასე რომ, გახარიას პასუხისმგებლობა მარტო იმიტომ კი არ ეკისრება, რომ თვითონ აქვს ჩატარებული სამარცხვინო სპეცოპერაციები, არამედ პასუხისმგებლობა ეკისრება იმიტომაც, რომ ამდენი ხანი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, მან ვერ განახორციელა რეფორმები, რომელიც პოლიციას უფრო სერიოზულ და გავლენიან ძალად ჩამოაყალიბებდა.

— უახლოეს წარსულს რომ გადავხედოთ, ჩვენ გვყავს თანამდებობის პირები, რომლებიც წლების განმავლობაში გავლენიანი მინისტრები იყვნენ, მაგრამ როგორც კი ტოვებენ თანამდებობას, ტრადიციულად იწყება ხელისუფლების კრიტიკა. ასე ხდებოდა შევარდნაძის დროს და ამის მაგალითია სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძე, ეს ხდებოდა სააკაშვილის დროს, იგივე ოქრუაშვილი გავიხსენოთ, იგივე ხდება ახლაც. ეს რა ფენომენია, რომ როდესაც მთავრობის პირველი პირი ხარ, ან გავლენიანი მინისტრი, ამბობ, რომ ცხოვრება მშვენიერია, მაგრამ როგორც კი ოპოზიციურ ველზე გახვალ, ამბობ, რომ ქვეყანაში კრიზისია და ხელისუფლება უნდა შეიცვალოს და იწყება მინიშნება ჩრდილოვან მმართველობაზე...

— ეს არის ძალიან ძველი ფენომენი ქართულ პოლიტიკაში. 90—იანი წლებიდან მოყოლებული, ქართველ პოლიტიკოსებს ჰგონიათ, რომ ოპოზიციაში გადასვლა არის განსაწმენდელი, ოპოზიციაში გადასვლისთანავე ისინი თავისუფლდებიან თავიანთი ცოდვებისგან, პასუხისმგებლობისგან და ჰგონიათ, რომ ოპოზიციაში ცხოვრებას იწყებენ ახალი ფურცლიდან. ასე არ არის. ყველა პოლიტიკოსს მოჰყვება თავისი შლეიფი კარგი გაკეთებული საქმეების და ჩადენილი დანაშაულების, ხელისუფლებაში იქნები თუ ოპოზიციაში, შენი გაკეთებული საქმეები თავის ელფერს არ კარგავს.

ასე რომ, რაც არ უნდა ოპოზიციაში გადავიდეს ბატონი გახარია, რაც არ უნდა რადიკალური ოპოზიციონერი გახდეს, ის იყო ხელისუფალი, მას ყველა ბერკეტი ჰქონდა ხელში, რაღაცა საქმეები გააკეთა, რაღაცები ვერ გააკეთა, მაგრამ ვერ გაექცევა თავის ტვირთს, რომელიც მან შექმნა და რომელიც მას ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჰქონდა. ოპოზიციაში ყოფნა ინდულგენცია და ცოდვების მონანიების წინაპირობა არ არის.

— გიორგი გახარიას პარტია მონაწილეობას ღებულობს თვითმმართველობის არჩევნებში. ცნობილია, რომ თავად არ იქნება მერობის კანდიდატი, მაგრამ რა შანსები აქვს ოპოზიციაში გადასულ ყოფილ პრემიერ-მინისტრს, რომელიც ამბობს, რომ 43%-ს აიღებს თუ არა „ქართული ოცნება“ რიგგარეშე არჩევნები მაინც უნდა ჩატარდეს?

— ბატონი გახარიას შანსები დამოკიდებულია იმაზე, რა ფული და რა მედია რესურსები ექნება. ჯერჯერობით, არც განსაკუთრებული კაპიტალი უმაგრებს ზურგს და არც რაიმე მედიარესურსი ამუშავებულა მის სასარგებლოდ.

ᲘᲮ. 8 ᲒᲒ.

№ 153-154. ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 14-15 ივლისი, 2021 წელი.

„5 ივლისს რაც მოხდა, სტიქია იყო, ყველაფერი თავისთავად მოხდა. პარადოქსული ვითარება გამოვიდა, ჩვენ მივიღეთ უშუალო და შეუზღუდავი დემოკრატია ქუჩაში, დემოსი ამყარებდა თავის ძალას“, — აცხადებს ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი.

დემოსი იყო ქუჩაში, ის ამყარებდა თავის ძალას!..

— ლგბტ თემის მხარდამჭერები თავად „ამხელენ“ ეკლესიას, ნაცვლად იმისა, საკუთარ თავს ჰკითხონ, რის საფასურად „იცავენ“ უმცირესობების უფლებებს და მარხვის პერიოდში რა განსაცდელის წინაშე აყენებენ მორწმუნე ადამიანებს. როგორ უნდა მოქცეულიყო ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი, როცა მათ ძალად ახვევენ მათთვის არაბუნებრივ „ღირებულებებს“?

— ქრისტიანულად ეს ასეა, თუ ვინმე სცოდავს, უნდა ამხილო, თუ არ გასჭრა ამან, მერე მოყვასთან, თავის ახლობელთან ერთად უნდა ამხილო, თუ კიდევ არ გასჭრა, მოძღვართან ერთად ამხილო. თუ მაინც არაფერი არ მუშაობს, მაშინ უნდა დაანებო თავი და მოეპყრა, როგორც წარმართს, ანუ ადამიანს, რომელზე პასუხისმგებლობაც აღარ გაქვს, რადგან იცი, მას ვეღარაფერს უშველი, ვერაფერით დაეხმარები, ის თავის ცოდვაში გაგრძელებს ყოფნას, მისი ბედი მის ხელთაა და შენ აღარ შეგიძლია მასზე ზემოქმედება. ეს არის ქრისტიანული მიდგომა, დაეხმარო ადამიანს ცოდვიდან გამოსვლაში, ქრისტიანებმა ერთმანეთზე უნდა იზრუნონ და იხსნან ერთმანეთი. ძალადობით ამას ვერ მივაღწევთ.

— ამ დღეებში რა გამოჩნდა, რომ ევროპის ფასეულობები სხვა არის? ამიტომაც ჩამოგლიჯეს ევროკავშირის დროშა, რომელიც შემდეგ აღმართა კახა კუჭავამ, ხოლო „ზნეობრივი“ რუსეთის ფასეულობა სულ სხვა არის? სხვათა შორის, ეს ის რუსეთია, სადაც ჩასული ევროპელები შეძრწუნებულნი იყვნენ რუს გლეხობასა და მთლიან საზოგადოებაში არსებული ღია მამათმავლობის გამო, ეს ის რუსეთია, რომლის ისტორიოგრაფიაშიც სოდომური ცოდვის მიმდევართა დასჯის შესახებ ცნობები არ მოიპოვება, მაშინ, როცა მამათმავლებს ინგლისში, ჰოლანდიასა და გერმანიაში კოცონზე წვავდნენ.

— ეს უბედურება ყველგან არის, მაგრამ საქართველოში რაც მოხდა, საჭიროა ამის გააზრება. ადამიანები, რომლებიც ქუჩაში აგრესიით გამოირჩეოდნენ, თავს დაესხნენ ჟურნალისტებს, მათ ჟურნალისტები შერჩათ ხელში, სინამდვილეში, ეს ადამიანები იყვნენ უფლებააყრილები დიდი ხნის განმავლობაში, მათ აზრს არავინ ითვალისწინებდა. რატომ იყო აგრესია მედიის მიმართ? რადგან მათი აზრი, ანუ მორწმუნეთა აზრი არ ჩანდა მედიაში და ეს ჩვენი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობაა. ეს არის, პრაქტიკულად, ქართული დემოსი, ქართველი ხალხი. 5 ივლისს გამოსული ადამიანები უმრავლესობის ნებას ასახავდნენ. ისინი იდგნენ ქუჩაში, ყოველგვარი პარტიების და პოლიტიკური ლიდერების გარეშე.

— აღმოჩნდა, რომ ქართული დემოსი კვლავაც კონსერვატიულია?

— რა თქმა უნდა. ეს დემოსი არათუ კონსერვატული, არამედ ანტილიბერალურია, მათ დემარში მოაწყეს ე.წ. ღირსების მარშის წინააღმდეგ. ეს დემარში იმდენად აგრესიული იყო, რომ შეგვიძლია ჩავთვალოთ, ეს იყო ანტილიბერალური ამბოხის ერთგვარი პრელუდია. თუკი პოლიტიკური ელიტა, ქართველი ერის გონიერი და სინდისიერი ნაწილი, აქედან დასკვნებს არ გამოიტანს, ეს ამბოხი გარდაუვალია — ადრე თუ გვიან, ეს მაინც მოხდება. ეს ისეთი ძალაა, თუ მან სტიქიური ხასიათი მიიღო, თუ პოლიტიკური ცხოვრებიდან განდევნილმა, იზოლირებულმა ამ მასამ ხმა ამოიღო და ხელიც გამოიღო, მერე მტრისას, ეს სტიქია ყველას და ყველაფერს განურჩევლად წალეკავს. ასეთ დროს გარჩევა აღარ არის, ვინ მტყუანია და ვინ მართალი.

— უკვე მერამდენე მცდელობაა, აქცენტი გადაიტანონ ეკლესიასა და მღვდლებზე. რეალურად, ამ საქმეს დირიჟორი სჭირდებოდა?

— რასაკვირველია, ეკლესიამ მოუწოდა მრევლს, რაც ბუნებრივიც იყო. ეკლესიის პოზიცია გასაგებია. იქ იყვნენ გარკვეული პოლიტიკური ლიდერები, ოღონდ არა მსხვილი პოლიტიკური ლიდერები, ფალავანდიშვილის მსგავსები, რომელთაც თითქოს მაინცდამაინც დიდი გავლენა ხალხში არ აქვთ. ეკლესიის დაძახილი ყველამ გულთან მიიტანა, შეურაცხყოფად მიიღეს „პრაიდი“ და ე.წ. ღირსების მარში. თანაც, „ღირსების მარში“ რომ ჰქვია, ეს განსაკუთრებული შეურაცხყოფაა. როგორც აღვნიშნე, დაძახილზე გამოვიდა ეს ხალხი, მაგრამ, ვინც დაუძახა, მათ მასების მართვა ვეღარ მოახერხეს. ეკლესიამ ვეღარ მოახერხა მათი მართვა. ფალავანდიშვილი კი თვითონაც აგრესიულობით გამოირჩევა, მასების მართვა მას არ შეუძლია. რაც მოხდა, სტიქია იყო, ყველაფერი თავისთავად მოხდა. პარადოქსული ვითარება გამოვიდა, ჩვენ მივიღეთ უშუალო და შეუზღუდავი დემოკრატია ქუჩაში. დემოსი იყო ქუჩაში, ის ამყარებდა თავის ძალას. ამდენად, თუ წესები და კანონები არ მუშაობს, არ მოქმედებს, პროცესები მძიმე შედეგით მთავრდება. ეს იყო რეაქცია ამ „პრაიდზე“. მედიის მიმართ აგრესიაც უკვე გასაგებია, ეს მედია მედიატორი აღარ არის ხალხსა და ხელისუფლებას შორის, არამედ პოლიტიკური პატრონის ინტერესებს ასახავს, ტყუილ-მართალს ერთმანეთში ურევს და ტალახს ისვრის. ამიტომაც ცალკეული მედიის წარმომადგენლები აღიქმებიან ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოების ყველაზე სამარცხვინო ნაწილად, რომელიც იქცა ხალხის საფრთხობელად.

— არის მცდელობა, ევროკავშირის დროშის ჩამოხევა ღარიბაშვილს დაუკავშირონ.

— ეს სისულელეა, არავითარი ძალაუფლება ამ მასაზე მთავრობას არ ჰქონდა. რაც შეეხება ევროკავშირს, დემოსის მიერ მცდარად არის გაგებული და აღქმული ევროკავშირის მნიშვნელობა. ძალიან გაზვიადებულია, თითქოს ევროკავშირი დგას ლგბტ პროპაგანდის უკან. თუმცა ამას ობიექტური მიზეზებიც აქვს, ევროკავშირის წარმომადგენლები მკვეთრ დამოკიდებულებას გამოხატავენ თავიანთი კლიენტელის მხარდაჭერისას, ვგულისხმობ არასამთავრობო ორგანიზაციებს. პოლიტიკურ პარტიებთან დამოკიდებულებაშიც არცთუ ისე მართლები არიან ევროკავშირის წარმომადგენლები. ამიტომ მათ აქცენტები უნდა შეცვალონ.

— გასაგებია, რომ მცირერიცხოვან ერებში თვითგადარჩენის ინსტინქტია ჩართული, ცხადია, პატარა ერებს არ მოეწონებათ „პრაიდები“ და ე.წ. ღირსების მარშები, მაგრამ საქართველოში მოღვაწე ელჩები რატომ არ ატყობინებენ თავიანთ პატრონებს დასავლეთში, რომ ჩვენს ხალხს სხვა ღირებულებები აქვს, ძალაუნებურად რატომ გვიშვებენ რუსეთისკენ?

— საქმე ისაა, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული მეინსტრიმი დომინანტურია მთელ ევროკავშირში, ძალაუფლება მათ ხელშია, ისინი ძალაუფლებას იმით იმყარებენ, რომ სწორედ ასეთი თემების დამცველებად გვევლინებიან. პირველ რიგში, ეს ეხება უმცირესობებს, მათ შორის, მოიაზრება ლგბტ პირთა უფლებებიც. მაგრამ არსებობს სხვანაირი ევროპაც, ავიღოთ უნგრეთის მაგალითი, სადაც კანონი მიიღეს, რომლითაც იკრძალება მსგავსი რამის პროპაგანდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო ევროკავშირი ემუქრება უნგრეთს. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ევროკავშირი ერთგვაროვანია. ამიტომ ევროპელებმა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე კი არ უნდა გააკეთონ მთავარი აქცენტი, არამედ იმაზე, რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვჭირდება, რომ დანარჩენი საზოგადოების უფლებებიც იყოს დაცული. რაც უფრო მეტად ეცდებიან თავშეუკავებელი, მოუზომავი და არადელიკატური ფორმით ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების მხარდაჭერას, უფრო და უფრო გაძლიერდება ანტილიბერალური და ანტიდასავლური განწყობები ჩვენს საზოგადოებაში. ის, რაც საქართველოში მოხდა 5 ივლისს, ეს არ არის უნიკალური შემთხვევა ევროკავშირისთვის, გაცილებით უფრო ფართომასშტაბიანი და არანაკლებ აგრესიული იყო საფრანგეთში მილიონიანი მარში. როცა ერთნაირსქესიანთა ქორწინებასა და მათ მიერ ბავშვთა აყვანის უფლებებზე იყო საუბარი, მთელი საფრანგეთი ქუჩაში გამოვიდა. ამის მოწინააღმდეგენი საფრანგეთშიც არიან, გერმანიაშიც, ავსტრიაშიც. ცხადია, საქართველოშიც იქნებიან. ასე რომ, რაიმე უნიკალური აქ არ მომხდარა.

— თუკი ლგბტ თემის გაიდეალებით მსოფლიო თვითლიკვიდაციისკენ მიემართება, იქნებ, ქართველებს არ აქვთ სურვილი, ჩაყვნენ ამ თვითლიკვიდაციაში მსოფლიოს?

— ასე აპოკალიპტურად არ ვუყურებ, რომ თვითგანადგურებისკენ მიექანება მსოფლიო, ეს არის ცივილიზაციის ეტაპი, რომელიც უნდა გადაილახოს. უმცირესობების დაცვა და მათი უფლებები არ არის არაქრისტიანული და არასამართლიანი, ეს სამართლიანია, მაგრამ არ უნდა მოხდეს ისე, რომ უმცირესობების უფლებები კონფლიქტში მოვიდეს უმრავლესობის ღირსებებთან.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

კოპალამ პასპორტი შეჭამა

უკრაინის ეროვნული პოლიციის სტრატეგიული გამოძიების დეპარტამენტის ოფიცრებმა უკრაინიდან ე.წ. „კანონიერი ქურდის“, 66 წლის ქუთაისელი ავთანდილ კობეშავიძის, მეტსახელად „ავთო კოპალას“ დეპორტირება ვერ შესძლეს.

ბორისპოლი-ბათუმის 07:30 საათზე დაგეგმილ რეისზე, „ავთო კოპალა“ თვითმფრინავში ჩასვეს. მალევე ე.წ. „კანონიერმა ქურდმა“ საკუთარი პასპორტი შეჭამა, შესაბამისად მისი დეპორტაცია ვერ განხორციელდა.

რეისი ჩაიშალა, რადგან პოლიციამ ვერ გადაწყვიტა, რა ექნათ „ავთო კოპალასთვის“.

დანარჩენი მგზავრები მთელი დღის განმავლობაში საჭმლისა და წყლის გარეშე იყვნენ.

პასპორტის არარსებობის გამო, ავთანდილ კობეშავიძე სასაზღვრო პოლიციამ ვერც უკრაინაში დააბრუნა და ვერც სხვა თვითმფრინავში გადასვა, რომ საქართველოში დაებრუნებინათ!..

ანდრია გვიდიანი: ოპოზიციურ ფლანგზე პარტიული და ჟურნალისტური ხაზი წაშლილია!

ამ ქვეყანაში ვერასდროს ვერცერთი სცენარით ვერ განხორციელდება ქვეყნიდან გაგდებული სააკაშვილის მითითებებით და ადგილზე გვარამიას დირიჟორობით დაგეგმილი რევოლუცია. არ გაგივათ ეს რევანში — გამორიცხულია, — წერს ექსპერტი ანდრია გვიდიანი.

მისი თქმით, პარლამენტის შენობაზე მიტანილმა შტურმმა ნათლად აჩვენა, რომ ოპოზიციურ ფლანგზე პარტიული და ჟურნალისტური ხაზი სრულად წაშლილია.

„მთელი დღის განმავლობაში საზოგადოების გარკვეულ ნაწილში იყო შეგრძნება, რომ პროტესტი ჯანსაღ ხასიათს ატარებდა. განსაკუთრებით უჩვეულოდ ჩანდა პოლიტიკური საფრთხობელების გარეშე მიმდინარე აქცია, რომელიც მიტინგს სულ სხვა ეგზოტიკას სძენდა. ბევრი აპოლიტიკური ადამიანი გამოვიდა აქციაზე და დიდი ემოციური ფონის გამო, გულწრფელი მხარდაჭერა გამოხატა საპროტესტო აქციის მიმართ.

თუმცა, რაც დღეს პარლამენტის შენობაში ხდება, ეს უკვე ნათლად აჩვენებს, რომ ამ პროტესტს არაფერი აქვს საერთო არც თავისუფლებასთან, არც ადამიანის უფლებებთან და არც რაიმე სხვა ღირებულებებთან. პარლამენტის შენობაზე მიტანილმა შტურმმა ნათლად აჩვენა, რომ ოპოზიციურ ფლანგზე პარტიული და ჟურნალისტური ხაზი სრულად წაშლილია.

იმაზე ამორალური და ფარისევლური არაფერია, როცა ხედავ, როგორ ცდილობენ პოლიტიკური ცხოველები ახლად გაციებულ ცხედრებზე ხელის მოთბობას. ამ ხალხის ამოცანა არ არის ღირებულებებისთვის ბრძოლა, ამათი ბრძოლის ხაზი გადის მხოლოდ ძალაუფლებაზე.

P.S.

— ერთი რამე კარგად დაიმახსოვრეთ, შეიძლება ვინმეს არ მოსწონდეს „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერები, შეიძლება ვინმეს არ მოსწონდეს ესა თუ ის გადაწყვეტილება. მაგრამ, მთელი შეგნებით დარწმუნებული იყავით იმაში, რომ ამ ქვეყანაში ვერასდროს ვერცერთი სცენარით ვერ განხორციელდება ქვეყნიდან გაგდებული სააკაშვილის მითითებებით და ადგილზე გვარამიას დირიჟორობით დაგეგმილი რევოლუცია. არ გაგივათ ეს რევანში — გამორიცხულია!..“

ა. ბ.

ირაკლი ღარიბაშვილი:

ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეკლესიური ძალების მიერ დაგეგმილი შეთქმულება ვერ შედგა!

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომლის გადადგომასაც ჟურნალისტები მოითხოვენ, მთავრობის სხდომაზე ტრიბუნა კვლავ რევანშიზმზე საუბრისთვის გამოიყენა.

უკანასკნელი მოვლენების შეფასებისას მან განაცხადა, რომ „ეს არის მორიგი წარუმატებელი შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ. ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეკლესიური ძალების მიერ დაგეგმილი შეთქმულება ვერ შედგა და ვერასოდეს ვერ შედგება ჩვენს ქვეყანაში“.

„სცადეს, ადამიანის ტრაგედია გამოეყენებინათ საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მნიშვნელობა არ აქვს, რა მიზეზით დაიღუპა ბატონი ალექსანდრე ლაშქარავა. ყველა მოძალადე სიმკაცრით იქნება დასჯილი. პოლიციამ უკვე დააკავა ოთხი პირი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ აღნიშნული პირის ცემის საქმეში.

ნებისმიერი ძალადობა მიუღებელია. ვგმობთ, დავგმობთ ძალადობას. ჩვენ არ დავუშვებთ ძალადობას ჩვენს სახელმწიფოში. რაც შეეხება ჩემს მიერ რეაგირებას, მეორე დღესვე დავგმე ფაქტი“,– განაცხადა ღარიბაშვილმა.

მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ მიუღებელია ძალადობა ჟურნალისტებზე და რომ შსს–მ მეორე დღესვე მოახდინა რეაგირება:

„მე ნ ივლისს განვაცხადე, რომ იგეგმებოდა მასშტაბური პროვოკაცია. კონკრეტული სახელი და გვარიც ვთქვი, ვინც ამ რევანშისტული ძალების უკან დგას. ეს არის ბატონი მიხეილ სააკაშვილი. კითხვები დაისვა, თუ რა კავშირი ჰქონდა ლგბტ თემს სააკაშვილთან, მაშინ, როდესაც მათი მხარდამჭერი „სირცხვილია“ აბსოლუტურად იმართება სააკაშვილის მიერ. ეს დადასტურებული ფაქტია. განვაცხადე, რომ იგეგმებოდა ფართომასშტაბიანი სამოქალაქო დაპირისპირება, რომელშიც უნდა ჩართულიყო საპოლიციო ძალა და სახელმწიფოს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოეყენებინა ძალა. ჩვენ ეს თავიდან ავიცილეთ, ჩვენ ეს რისკები თავიდან გვქონდა შეფასებული და ეს არ დავუშვი. რაც მოხდა, არის ცუდი და სამწუხარო, მაგრამ მინდა, ყველას შევახსენო, რომ ძალადობა ხდება ყველგან და ყველა ქვეყანაში“, – განაცხადა ღარიბაშვილმა და მაგალითად ევროპის ქვეყნები და აშშ მოიყვანა.

მისი თქმით, რისკები საქართველოში წინასწარ შეფასდა და კვლავ გაიმეორა, რომ იყო შესაბამისი კომუნიკაცია ელჩებთან, ლგბტ თემთან.

მისი თქმით, დანაშაულის და ძალადობის განზოგადება არ შეიძლება:

„გარანტიას ვიძლევი, რომ ყველა მოძალადე, რომელიც ძალადობაში იყო ჩართული, სამაგალითოდ დაისჯება. გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს, მათ შორის, რომ ორ მოხვდნენ აგრესიული პირები რუსთაველზე, რატომ მაინც და მაინც ჟურნალისტებზე გააკეთეს შეტევა. ეს ლეგიტიმური კითხვაა, რასაც გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი. არსებობს ვერსია, რომ აღნიშნული პროვოკატორების უკან იდგეს ასევე რევანშისტული, რადიკალური ძალა. ჩვენ კარგად გვახსოვს, რა მეთოდებით მართავდნენ აღნიშნული მოძალადეები და მკვლელები ჩვენს ქვეყანას.

როცა ხდებოდა ტერორისტული აქტების დადგმაც კი საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

რაც შეეხება გუშინდელ აქციას, ეს იყო კლასიკური ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეკლესიური, მაშასადამე – ანტიეროვნული გზავნილები. გზავნილები იმის თაობაზე, რომ ითხოვდნენ პატრიარქის დაკავებას პოლიციის მხრიდან. ბოდიშს ვუხდი მოსახლეობას, რომ ამას ვიმეორებ. ვინ ითხოვდა ამ ყველაფერს? ზოგადად, მივესალმებით დამოუკიდებელი მედიის არსებობას ქვეყანაში. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ თავისუფალი მედია განვითარდეს, მიუკერძოებელი ჟურნალისტები განვითარდნენ. ოპოზიციური ტელევიზიები – „მთავარი“, „ტვ პირველი“, „ფორმულა“ პირდაპირ იმართება სააკაშვილის მიერ მოპარული ფინანსებით“, – განაცხადა ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ მათი და ენმ-ს დღის წესრიგი იდენტურია – „ძალადობრივი გზით ჩამოაგდონ ხელისუფლება და მოვიდნენ ხელისუფლებაში“, რაც მისი თქმით, „მიუღწეველია“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

SOS: არ გაამოგდით
SOS: რევოლუციის მოდელირება!

წერილს ექსპერტ გიორგი ცუცქირიძის ფეისბუკ-პოსტით დავიწყებ: - პოლიტიკური პროცესი როგორც არ უნდა შეფუთო, მაინც მალე გაცხადდება, მით უმეტეს როდესაც მიზნად შედეგის მოკლე ვადაში დადგომაზეა ორიენტირებული. მედიის სოლიდარობის აქციის შემდეგ, რაც საზოგადოების არაპოლიტიზირებულმა ნაწილმაც სამართლიანად გააპროტესტა, მედია პროტესტის ორგანიზატორთა ულტიმატუმი მთავრობის უპირობო გადადგომაზე, უკვე ატარებდა პოლიტიკურ დატვირთვას, პროტესტის პოლიტიკურ მოთხოვნებში გადაზრდით.

ახალი გზავნილიც, ,თუ რას დაადგენს გამოძიება და რა არის ადამიანის სიკვდილის მიზეზი, ამას აღარ ჰქონია მნიშვნელობა! ამ პოლიტიკური მიზნისკენ მიმართული მესიჯ-ბოქსია, ისევე როგორც „ღირსეული“ პოლიტიკური პარტიების მისამართით გაკეთებულ წინადადება- შეუერთდენ პროტესტს, თითქოს ისედაც ამ პროცესში არ იყვნენ ჩართულები. ამ მიმართვიდან ცოტა ხანში პარლამენტში ამ „ღირსეული ოპოზიციის“ შესრულებით ახალი დებოშის და შეხლა-შემოხლის მორიგი შოუც ვიხილეთ, პარლამენტის თავმჯდომარის და სპიკერატის ადგილების დაკავებით.

დღეს პარლამენტის პარალიზების ეს მცდელობა, ერთი ერთში ჯდება, გავრილოვის ღამის პარლამენტში შეჭრის მცდელობის ვერშესრულებულ მიზანთან, პოლიტიკური კრიზისის „დადასტურებით“ მიაღწიონ მთავრობის გადადგომას და ვადამდელ არჩევნებს ე.წ დროებითი მთავრობის მიერ.

5-6 ივლისის მოვლენების მედია-ამბოხად წარმოჩენაც ამ სცენარის ნაწილია. დემოკრატიის მთავარი პრინციპია, რომ ჭეშმარიტებაზე ექსკლუზივი არავის აქვს, არც ცალკეულ ჯგუფებს თუ სასულიერო პირებს, მით უმეტეს არც იმ ჟურნალისტებს თუ მათ პროდიუსერებს, რომლებიც ბოლო წლებია ბევრი არასწორი და დამახინჯებული ინფორმაციის ტირაჟირებაში თუ მიკერძოებაში არიან შემჩნეულები...არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეალურად ქართული ე.წ კრიტიკული მედია პარტიულ ტელევიზიებს წარმოადგენენ. არც ლელო, არც ვაშაძე „ჯუნიორი“, და მით უმეტეს ნაციონალები შემთხვევით კი არ იყვნენ ჩაშლილი საპარლამენტო სესიის შემოქმედნი.

ბოლოს კი მინდა დავეთანხმო აშშ ის საელჩოს განცხადებასაც, რომ ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, თუ ვინ უნდა იყოს ხელისუფლებაში, ის არც ბატონი გვარამიას, თარგამაძის თუ გრიგოლიას და არც ნაცოპოზიციის გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის!

მაგრამ აუცილებლად სათქმელია, რომ

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ვიღაცეების მხრიდან თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის ნებისმიერი სახის ძალადობა. დიახ, სწორედაც ძალადობა, რადგანაც ის რაც რუსთაველზე ხდებოდა და რასაც ე.წ. ჟუუურრრნალისტები გვიანონსებენ, არაფერია თუ არა ძალადობა და ტყუილი.

მოძალადეები და მატყუარები არიან ის ის პოლიტიკური ლიდერები და დეპუტატები ვინც ე.წ. ღირსების მარშის პეტიციას ხელი მოაწერა და მხარს უჭერდა.

ახლა რომ კეკლუცობენ კამერების წინ, 5-ში სად იყვნენ?

იქნებ ხალხი ხაზარაძეს, ნაცვლიშვილს, გუბაზას, სამნიძეს და სხვებს რომ დაინახავდა, აგრესია დაუცხრებოდა?

იქნებ სახალხო დამცველს ექნა რამე?

ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება. ბევრი ისეთი რამის, რაც სიმართლეა, მაგრამ გარდაცვლილს არ ეკადრება.

ეს არის მცირე ნაწილი იმ ჩემი პოსტებიდან, რაც დამიწერია ე.წ. თვითგვემის სინდრომზე, რაც რატომღაც საქართველოში იყო დამკვიდრებული.

ხშირად ვაკეთებდი შედარებას იმ ხვარაზმელ გლეხთან, რომელსაც მთვრალმა მონღოლმა მეომარმა უბრძანა - დამელოდე, ხმალს მოვიტან, მოგკლავო და ისიც მორჩილად დაელოდა.

ხშირად მითქვამს, რომ საქართველო არის სახელმწიფო და არა რაღაც არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ბოლომდე უნდა დაემორჩილოს დონორის მოთხოვნებს.

მგონი დღეს ამ თვითგვემის სინდრომის დანგრევა დაიწყო“.

* * *

Gia Gabrichidze
20 იანვარი, 2020

გაგიკვირდებათ და ნამდვილად არ მეშინია ვინმე კონგრესმენების „შეშფოთების“, არ ვცახცახებ NDI-ის „კვლევებზე“, მაგრად მკიდია ჯულიეტოვნას და მირას „დებატები“. ვიღაც გვარამიას ისტერიკას საერთოდ არ ვუსმენ. ძალიან არ მაღელვებს ვინ წავა ოცნებიდან, ვინ დარჩება და რა ფორმით „გაბრაზდებიან“ ნაცებზე, ამ ე. წ. „არასამთავრობოებს“ და ე. წ. „სახალხო დამცველს“ როგორც რეალურ არსებებად არ მივიჩნევ. იმ 31 ვითომდა პარტიებს, ნამდვილად ვერ ჩამოვთვლი.

ვარ რიგითი ამომრჩეველი და მე თვითონ გავაკეთებ არჩევანს.

* * *

Gia Gabrichidze
5 მარტი

ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, რომ ფსიქოლოგიური ტერორი, რომელსაც მასაბრივი საინფორმაციო საშუალება ახორციელებს, უფრო საშინელია, ვიდრე ტერორისტთა ჯგუფის მიერ შესრულებული შეიარაღებული თავდასხმა.

უფრო საშინელია, რადგანაც შეიარაღებული თავდამსხმელების წინააღმდეგ სახელმწიფოს აქვს საშუალება გამოიყენოს ძალა და ბოლო-ბოლო მოლაპარაკების შედეგად გაანეიტრალოს ტერორისტი.

იმ შემთხვევაში კი რასაც ნაცტელევიზიები აკეთებენ, მსგავსი ქმედება ნორმალური მორალის მქონე ხელისუფლების მხრიდან აბსოლუტურად გამორიცხულია და მხოლოდ ერთი გზა, მაყურებლის ინფორმირება რჩება.

სააკაშვილის გადაღებული, თუ დამონტაჟებული კადრებით მუქარას, პირველ რიგში სახალხო დამცველი, უფლებადამცველები და თავად ჟურნალისტები უნდა დაუპირისპირდნენ, მაგრამ სამწუხაროდ სახალხო დამცველი, უფლებადამცველები და ჟურნალისტთა ნაწილი თავად არიან სიტყვითმკვლელი ტერორისტები!

არ ვიცი ფულის გამო, თუ მათზეც აქვთ რაიმე ფილმები გადაღებული (იდეა გამორიცხულია. ამ არსებებს მსგავსი არ გააჩნიათ), მაგრამ ეს ხალხი სწორედაც მოძალადეთა მხარეს დგანან.

კიდევ ერთხელ ვახმიანებ ხალხის მოთხოვნას, რომელიც დიდი ხანია ისმის – სასწრაფოდ მისაღებია ცილისწამების და მისი ტირაჟირების წინააღმდეგ მიმართული კანონი.

სასწრაფოდ!!!

აქციის „ლიდერები“ კი უბრალოდ დადიან და ეძებენ.

დადიან და ეძებენ.

ეძებენ ადგილს, სადაც ბევრნი გამოჩნდებიან.

არადა, არ არის ასეთი ადგილი თბილისში.

არ არის იმიტომ კი არა, რომ ვიწრო ქუჩები არა გვაქვს, უბრალოდ კომუნიზმის არ იყოს, მათი ადგილიც არ არის, არც ამ ქალაქში და არც ამ ქვეყანაში.

ვერანაირი რაკურსით გადაღებული კადრებით ვერ დააჯერებთ ხალხს, რომ მართლები ხართ.

ვერანაირ რაკურსით გადაღებული კადრებით ვერ შექმნით რევოლუციურ სურათს.

ვერ შექმნით, იმ მარტივი მიზეზის გამო რომ ტყუიხართ. ტყუიხართ ყველგან და ყოველთვის. ამიტომ არ გამოგდით არაფერი და არც გამოგივათ.



ვეღარც „უკანალში ამოსული ბროწეულები“ გშველით და ვერც „სამხრეთ აფრიკული პინგვინი“.

არ გამოგდით რევოლუციის მოდელირება.

არ გამოგდით, დამშვიდდით და წადით სახლში!..

გია გაბრიჭიძე

№ 153-154. ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 14-15 ივლისი, 2021 წელი.



ქართული მწერლობის მძიმე უღელში შებმული,

ანუ სულიერი საქართველოს ღირსეული მოქალაქე

გურამ ბენაშვილი - 80

გამოჩენილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ბენაშვილი 80 წლისაა.

ვულოცავთ ბატონ გურამს – ღირსების ორდენის კავალერსა და ქართული კულტურის დესპანს, ამ ღირშესანიშნავ საიუბილეო თარიღს!

ქართველ მწერალთა მისდამი მიძღვნილ სხვადასხვა დროის საჯარო გზავნილებიდან, მკითხველებს მხოლოდ იმ მცირე ამონარიდებს ვთავაზობთ, ბატონი გურამის ლიტერატურული მოღვაწეობის შეფასებათა კვინტესენციად რომ მოიაზრებიან...

აქვე ვაქვეყნებთ თვით იუბილარის უახლეს ესეის...

ანა კალანდაძე

...თაყვანს ვცემ თქვენს ლიტერატურულ ტალანტს, პოეზიის „ლაბირინთების“ თქვენეულ აღქმის დიდ ხელოვნებას...

ჭაბუა ამირეჯიბი

...შენ არა მარტო ქართული მწერლობის მოამაგეობით დაიმკვიდრე ღირსეული სახელი, არამედ როგორც ჩვენი ლიტერატურის უღრმესად მცოდნემ და ანალიტიკოსმა...

... შენი სახით ქართული ლიტერატურის კვლევას დიდი მოღვაწე ჰყავს...

მურმან ლებანიძე

...მიიღე ჩემგან უღრმესი მადლობა მამისგან ნაანდერძევი უსაზღვრო სათნოებისათვის...

...შენი დიდი ლიტერატურული ღვაწლისათვის...

შოთა ნიშნიანიძე

... შენი ნაწერები იკითხება არა მარტო როგორც კრიტიკული შეფასებანი, არამედ მათ აქვთ თანამედროვე ევროპული დონის ესეის სიმაღლე და მასშტაბურობა, ანუ ის, რაც ასე იშვიათია ჩვენს სინამდვილეში...

თამაზ ჭილაძე

...გენეტიკურადაც ლიტერატურული სამყაროს მკვიდრი, დიდი ქართული მწერლობის, ფაქტობრივად სულიერი საქართველოს ღირსეული მოქალაქეა იგი...

ოთარ ჭილაძე

... ერუდიტი და უზადო ანალიტიკოსი, იგი იმ რჩეულთაგანია, ვინც თავისში აღზარდა და დაამკვიდრა ლიტერატურული აზროვნების მაღალი კულტურა, ელეგანტური განსჯა-ანალიზის ხიბლი და სუვერენული მოაზროვნის უნივერსალური უფლებები...

ჯანსუღ ჩარკვიანი

...ღვთის მადლია, რომ ქართული მწერლობის ამბორი გერგო წილად და მის მძიმე უღელში ხარ შებმული.

ძმაო გურამ, ისიც მინდა შეგახსენო, რომ ღვთის მადლი, რომელშიაც დგახარ – ჭეშმარიტია...

რევაზ თვარაძე

...გურამ ბენაშვილის ყოველი ქმნილება ისეთივე შთაგონებითაა აღბეჭდილი, როგორითაც მხატვრული სიტყვის ოსტატთა ნაწარმოებები... ვფიქრობ ხსენებული თვისებები განაპირობებს მის სტილს, წერის მანერას – ერთადერთსა და განუმეორებელს, ათეულობით ავტორისაგან უმალვე გამოსარჩევს...

თამაზ ჩხენკელი

მისი ლიტერატურული ტალანტი უშუალო წინაპართა მიერაა კოდირებული, ჩანერგილი და ახალი ძალით აღორძინებული...

ხანმოკლე სიცოცხლის ექსკლუზიური მონოლოგი

(მარო მაყაშვილის „დღიური“)

მკითხველის წინაშეა ჩანაწერები, რომელთაც დრო-ჟამის სპეციფიკურ სურნელთან ერთად, ჩვენამდე მოაქვთ ადამიანთა ცხოვრების კოლორიტული ფრაგმენტები და რა, თქმა უნდა, თვით ნარატორის, ვითარცა მედიუმის მენტალური აურა.

ზუსტი დეფინიციებითა და სულის ფაქიზი ვიბრაციებით დაკრისტალებულნი, ისინი არსებითად ეგზისტენციურ პარადიგმათა არამარკირებული სპეციფიკით არიან აღბეჭდილნი.

სიმპტომურია ისიც, რომ ეს ყველაფერი წარმოდგენილია მაღალი ეროვნული ცნობიერებით განმსჭვალული აქტორის მონოლოგებით.

არის მის ტექსტებში ოდენ რომანტიკული აქცენტებიცა და ქვეყნის პატრიოტის იმპერატიული შეგონებანიც.

ყოფიერების „იდუმალ სიბრძნესთან“ განდობილი იცნობიერებს იგი საკუთარსავე იდენტობასა და მომავლის კონცეპტუალურ კონტურებს.

ბრუტალური გამოწვევების მიმართ შეურიგებელი და დროის „მარწუხებიდან“ რწმენით თავდახსნილი, იგი სამშობლოს თავისუფლების წყურვილითაა „ატანილი“.

გვარწმუნებს, რომ როგორც პიროვნება მხოლოდ საკუთარივე ნებით იქმნის და იგემოვნებს ყოფიერების სულიერ „სალხინებელს“.

ასე და ამგვარად რეალიზდება მასში ინდივიდუალური ცნობიერების დისკურსი.

მისი „დღიური“ ანალიტიკურ შემეცნებაზე პროეცირებული „პარტიტურაა“, რომელიც უფუნქციო სიტყვათა ცდომილებისაგან ათავისუფლებს მკითხველს, ანიჭებს რა მას აქტუალური შემმეცნებლის სტატუსს, კრეატიული მიზანსწრაფვით მსჭვალავს და სახელებს არქმევს ადამიანურ ინსტინქტებს, ყოფიერების თანმდევ „მოუხელთებელ ფანტომებსა“ და მენტალურ მოვლენებს.

საგულისხმოა, რომ მისმა სულიერმა დიაპაზონმა დაიტია და გაითავისა აღტაცებისა თუ მწუხარების, იმედისა თუ სინანულის, რწმენისა თუ სკეფსისის ღირსება-ცდომილებანი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამაღლებულითა და მშვენიერით ტკბობა ორგანულ განცდად „ასდევნებია“ დროისაგან გამოტანჯული სულის თავისუფლებას, მის ესთეტიკურ ცნობიერებას.

ჩანაწერებში გამოვლენილი თემატური დიაპაზონი მნიშვნელოვანწილად აღბეჭდილია ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი დიდი ინტერესით. ანალიტიკური დისკურსით წარმოდგენილი რეცეფციები „ღაღადებენ“ მისი ესთეტიკური ცნობიერების ოდენ სიმწიფესა და მაღალ კულტურაზე.

აი ფიქრები, რომლებიც ჩემში აღძრა მარო მაყაშვილის „დღიურში“ წარმოდგენილმა თემატურმა მოდულაციებმა.

რა შეიძლება ითქვას კიდევ სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი და მსხვერპლად შეწირული „გოგონას“ ხანმოკლე სიცოცხლის „ყვავილოვნების“ ჟამზე, მის პათეტიკურ ვექტორებსა თუ რომანტიკული განცდების უმანკოებაზე.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად აქ იგი „ჰყვავის“ უსათნოესი გრაციითა და უებრო სისპეტაკით, სინორჩის „თავაწყვეტილი როკვის“ იდუმალი წყურვილითა და ლოცვად აღვლენილ ოცნებათა სურნელით...

მხოლოდ ასე და ამგვარად წარმოვიდგენ „დღიურში“ დატეულ მისი, ვითარცა პროტაგონისტის ამქვეყნიური ცხოვრების „კადრებსა“ და სულიერი მწიფობის ნეტარ ჟამს.

მოგვიანებით სათაყვანებელი სამშობლოს უმძიმესი განსაცდელი იქცა მისთვის ბრძოლისა და თავშეწირვის უალტერნატივო იმპულსად...

მან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, საკრალურ შეგონებად აღიქვა დიდი ივანე ჯავახიშვილის მოწოდება – ახალგაზრდობას დაეცვა და ბოლშევიკური რუსეთის ექსპანსიისაგან გადაერჩინა სამშობლო...

„ვერავითარმა მუდარამ, რჩევამ ვერ გასჭრა მაროზე, მე იქ უნდა ვიყვე, სადაც იღვრება სისხლი და ცრემლი თანამემამულეთაო. იგი როგორც მოწყალების და, სანიტარულ რაზმთან ერთად წავიდა კოჯრის ფრონტზე... მეორე დღეს, საღამოს, მის გვერდით გამსკდარმა ყუმბარამ არც კი დააცადა უკანასკნელი სალამი ეთქვა სამშობლოსა და მშობლებისათვის“, - წერდა მაროს მამა, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, კოტე მაყაშვილი.

ტრაგიკული წარსულის წიაღიდან, მარო მაყაშვილის გმირობასთან ერთად, მამის სულისშემძვრელი პოეტური სტრიქონებიც აღსდგა და გაცოცხლდა... მასში გოდების მოტივაცია, ქალიშვილის სიკვდილთან ერთად სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული მწუხარებაა – „ჩემო გმირო და წმინდანო, გაამხნევე მშობელი! სამშობლო თუ შენ, რომელი, ახ, ვიტირო რომელი“...

ასე და ამგვარად გაცხადდა ამ ეპოქისათვის ესოდენ ორგანული, კიდევ ერთი ტრაგიკული პრეცედენტი...

მარო მაყაშვილის ხანმოკლე სიცოცხლის მონოლოგად თუ ლექსიკურ ეკვივალენტად შობილი „დღიური“, ოდენ მენტალური აღორძინების ის წინასაფეხურია, რომელიც ამრეკლავია მის ადამიანურ ვნებათა ჰარმონიზაციისა, ანუ იმ ინსპირაციისა, რაც საფუძვლად ექცა მისი, როგორც ფსიქოტიპის გმირად რეინკარნაციას...

ამ უმანკო პატრიოტის მსხვერპლშეწირვითაც შეიძინა ავზნიანი მწუხრით ტანჯულმა საუკუნემ მეტ-ნაკლებად ჰეროიკული იერსახე, ხოლო თვით იგი სანუკვარ სიმბოლოდ დაემკვიდრა ერის ისტორიულ მეხსიერებას...

ოდენ „გედის სიმღერად“ წარმოდგენილმა ამ ჭეშმარიტად საკრალურმა „გზავნილმა“, დავიწყებისაგან უნდა იხსნას და მომავალი გაუცოცოხლოს მარო მაყაშვილის უაღრესად შთამბეჭდავ ადამიანურ ხსოვნასა და მის არამიწიერ ყოფიერებას...

აქ და დღეს...



მეუფე ანტონი:

გულში ლახვარი სჯობს, უკანალში ლახვარს...

რატომ უქნევთ თითს ქართველ ხალხს, ჩვენს ღირებულებებს?!

მეუფე ანტონი ელჩებს მიმართავს

ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი, მეუფე ანტონი „ტვ პირველის“ ოპერატორის ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებას ვრცელი მიმართვით ეხმიანება. მეუფე ანტონი ევროკავშირისა და ამერიკის საელჩოებს მიმართავს:

„ამერიკის და ევროკავშირის საელჩოებს: რატომ უქნევთ თითს ქართველ ხალხს, ჩვენს ღირებულებებს“... რატომ ფუთავთ უზნეობას ზნეობრიობის მანტიაში. გველს რომ ბულბულს არქმევთ, ნუთუ ფიქრობთ თქვენს გაწვრთნილობას და დახვეწილობას სასაუბრო ენაში ეს „ბნელი ხალხი“ ვერ მიგიხვდებით?

კარგი დიპლომატიური კურსები გაქვთ გავლილი, შეისისხლხორცეთ, რომ დიპლომატია არის ხელოვნება იმისა, თუ როგორ აჭამო სხვას ნეხვი ისე, რომ დანარჩენს პირში მარწყვის გემო დარჩეს და მჭამელმაც ამტკიცოს, ნამდვილად მარწყვიაო... საბჭოთა კავშირის დროს, რაზედაც არ უნდა ყოფილიყო მსჯელობა, ქიმიაზე, ბიოლოგიასა თუ ნებისმიერ განყენებულ საკითხზე, დასაწყისში აუცილებლად უნდა გეხსენებინა სკპპ ყრილობები და მათი დადგენილებები...

ვამჩნევ, ნებისმიერი ჩვენი მოაზროვნე, ხელისუფალი, სასულიერო პირი თუ უბრალოდ პატიოსანი ადამიანი რომ გამოდის, ჯერ აუცილებლად უნდა იხმაროს სიტყვები — ძალადობას ვგმობ, ვემიჯნები!.. რა ძალადობა, ვინაა ძალადობის მომხრე?! იცით, როდესაც კაცს თავის მართლების რეჟიმში აგდებთ, მოგებული ხართ. თუ ვინმეა მოძალადე, ეგ თქვენ ხართ, აბსოლუტურ უმრავლესობას ძალადობრივად თავს რომ ახვევთ თქვენს გამრუდებულ შეხედულებებს.

შეურაცხყოფილები ვართო, რატომ არ გამოიყვანეთ სპეცტექნიკა, რომლითაც აღგჭურვეთო? რატომ არ იძალადეთ უმრავლესობაზეო? ერთი ჟურნალისტი დაიღუპა და რა ამბავში ხართ და იმ მასობრივ არეულობაში, რაც მოხდებოდა, დაგაკმაყოფილებდათ, ვამპირებო? ყველას პირში არ არის და არც იქნება მარწყვის გემო. რა გამოგილევთ გვარამიებს, უგულავებს, ფსევდო ჯაფარიძეებს, კაცთმოძულე ბერძენიშვილებს და უგვანო დიაცთ, რომელთა სახელების ხსენება უხსენებელივითაა, მაგრამ იცოდეთ, ჩვენც ვართ!!! ვერ გიშველით შეფუთული 17 მილიარდი, რომელიც ვითომ ჩვენი კეთილდღეობისთვისაა, ვხვდებით უკვე ყველაფერს...

ძალიან მოტრფიალე ვიყავი ევროპული და ამერიკული ღირებებულებების, ვაქტუირობდი კიდეც, ეპარქიაში პირველმა დავაარსე ევროკლუბი „სურიონი“ (რომელსაც უახლოეს დღეებში დავხურავ — თქვენი შემხედვარე).

ბავშვებს ვუხსნიდი — ევროპამ შეიმეცნა, რომ ცხოვრების არსი პირადი კეთილდღეობა კი არა, კარგ და ჯანსაღ საზოგადოებაში ცხოვრებაა...

თქვენ კი გინდათ დაგვარწმუნოთ, რომ ჯანსაღი საზოგადოება გარყვნილებასთან ერთად თანაცხოვრებაა, რომ გველი ბულბულია და ნეხვი — მარწყვი. მიტომ გვაფინანსებთ და გვეხმარებით , რომ ეს მოგვახვიოთ თავზე?

სულ ვფიქრობდი და ვერ გამეგო, რაში აძლევთ ეს ხელს, განა ის ერჩივნოთ-მეთქი, რომ ზნეობის, ვაჟკაცობის იდეალების მატარებელ ხალხთან უჯობდეთ ურთიერთობა ? თქვენი მწერლობა ყველა ნაწარმოებებში, თქვენი ფილმები ხომ პატრიოტობის, მამაკაცური და ოჯახური ღირებულებებითაა გაჟღენთილი, როდის გადაგვარდით, რა დაგემართათ, რა უქენით თქვენს საზოგადოებას, კულტურას, ხელოვნებას, როგორ დააჩმორეთ ოჯახები, მამაკაცები, რა უქენით თქვენს ხალხს.

პარიზის და სხვა დიდი ქალაქების მერად რომ გარყვნილებს აირჩევთ, იქ ოჯახები და მამაკაცები ცხოვრობენ?

ვიმეორებ, როგორ დააჩმორეთ საზოგადოება?! არ გაგივათ ესეთები, აქ ქუდზე კაცი გამოვალთ,რომ კანონმდებლობით აიკრძალოს გეი-პარადები და მათი პარპაში ბაღებში, სკოლებში, საზოგადოებრივ სახალხო-კულტურულ სივრცეებში. სულით ხორცამდე მჯერა, რომ არც თქვენ მოგწონთ ეს, მაგრამ ისეთ სისტემაში მოხვდით, სხვა გზა არ გაქვთ და ერთი გამოსავალი დაგრჩათ, იმსგავსოთ ხალხი და ქვეყნები!!!

მივხვდი და უტყუარი დასკვნა გამოვიტანე : ზნეობრიობის და ვაჟკაცობის იდეალებზე გაზრდილთ ვერ მოახვევ თავს აღვირახსნილობას, სიბილწეს, დაე გაიხრწნან, მივცეთ გასართობები, „თავისუფლება“. კარგად გაქვთ შეთვისებული, რომ „თავაშვებული ცხოვრება დედაა აღვირახსნილობისა და ბებია უზნეობისა“.

იცით, რომ ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს (სამოთხე განათებულია უქრთამოდ!). ჩვენ რუსეთს ვუთხარით უარი, დაგვიმარტოხელეთ და ალერსით გაბრუებულებს და საკენკით მოტყუებულებს გინდათ მოგვახვიოთ თავს თქვენი მრუში, ბილწი და გარყვნილი იდეალები. შეძვრეთ ჩვენს ბაღებში, სკოლებში და იქ გინდათ ასწავლოთ და ვადაზე ადრე „გაუნათოთ“ გონება ბავშვებს. პირველი ღილი გინდათ შეუბნიოთ არასწორად, დანარჩენი იცით, თავისთავად წავა...

ნუ გვაიძულებთ, დამარტოხელებულებმა ნაცნობ ჭირთან ყოფნა ვირჩიოთ. გულში ლახვარი სჯობს, უკანალში ლახვარს! თქვენსავით დახვეწილად და დიპლომატიურად ვერ გწერთ და ასისინდებიან ახლა, ვისაც ღილები აუბნიეთ და პირში მარწყვის გემო დაუტოვეთ., ზოგს ენა არ მოეწონება, ზოგს სურათი, ზოგს — კიდევ რა...“

ოსი უფლებადამცველი სხვადასხვა პლატფორმების გამოყენებით თბილისთან კონტაქტების დამყარების თაოსნობით გამოდის

ოსი უფლებადამცველი ფატიმა მარგიონი მხარდაჭერას უცხადებს ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის იმ მცხოვრებლებს, რომლებიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოდიან სამკურნალოდ და როგორც ჯანდაცვის, ისე სხვა პრობლემების გადასაჭრელად ქართულ მხარესთან თანამშრომლობის დაწყების ინიციატივით გამოდის.

„ამ ხალხს ვერ დავძრახავ. პოზიტიურად ვაფასებ ჩვენი მოქალაქეების მკურნალობის პროგრამას. რა უშლიდა რუსეთს ხელს, ანალოგიური პროგრამა შეექმნა, ან გაეკონტროლებინა, რამდენად მიზნობრივად იხარჯება მის მიერ ჯანდაცვაზე გამოყოფილი თანხები, რათა ადგილზე შეგვძლებოდა მკურნალობა?! პასუხი ნათელია: ესაა კორუფცია, რომელშიც რუსეთის ხელისუფლება და მას დაქვემდებარებული ჩვენი ჩინოსნები არიან ჩაფლულები. ასევე მივესალმებოდი ომის შედეგად დაზიანებული ჩვენი საცხოვრისების აღდგენის პროგრამას. ჩვენმა ხელისუფლებამ და რუსმა კურატორებმა ხომ სრული უუნარობა აჩვენეს, საკუთარი გაუმაძღრობა დაეძლიათ და ეს პრობლემები გადაეჭრათ. 12 წელი გავიდა, ჩვენ კი კვლავ ომით დანგრეულ ბინებსა და სახლებში ვაგრძელებთ ცხოვრებას, ამის მიზეზი იგივეა — ფაშისტური კლეპტოკრატია და მისი მფარველი კურატორები რუსეთიდან.

თავხედობის პიკად მიმაჩნია პროგრამის შექმნა და გადაწყვეტილების მიღება „ჰუმანიტარულ სპეცანგარიშთან“ და ჰუმანიტარული დახმარების ნაცვლად დაზარალებული მოსახლეობისთვის საცხოვრისების ჩამორთმევასთან დაკავშირებით. მაშ, სადაა ჩვენი რეალური მტერი და ჩვენ სად ვეძებთ მას?!“ — წერს მარგიონი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ პირად გვერდზე.

უფლებადამცველის აზრით, **„სახალხო დიპლომატიის დონეზე, სხვადასხვა პლატფორმების გამოყენებით უნდა დამყარდეს კონტაქტები პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებთან საქართველოში, რათა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობამ შეძლოს საკუთარი ინტერესების, პრობლემების, საჭიროებების გახმოვანება და ითხოვოს დახმარება, მათ შორის — საერთაშორისო ორგანიზაციებისა, არსებული პრობლემების გადასაჭრელად“.**

მარგიონს რიგი კომენტატორებიც დაეთანხმნენ. „მათ, ვინც ჩვენს სახელმწიფო სალაფავთანაა, საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზება არ აწყობთ, მათთვის რუსეთია უფრო მისაღები იმის გამო, რომ განუკითხაობაზე თვალს ხუჭავს“ — წერს ერთ-ერთი მათგანი: **„არც მე ვარ საქართველოში მკურნალობის პროგრამის წინააღმდეგი: საქართველო ახლოსაა, რუსეთამდე კი სანამ ჩააღწევ, მოკვდები. თანაც, ვის რაში ვჭირდებით იქ?! — რომ იმკურნალო, ჯერ ჯოჯოხეთი უნდა გამოიარო! მაგრამ ეს ჩვენ გვეხება, რიგითებს, თორემ სახელმწიფო მოხელეებს — არა“** — წერს მეორე...

ლევან ლორთქიფანიძე: ქართველ პოლიტიკოსებს ჰგონიათ, რომ ოპოზიციაში გადასვლა არის განსაწმენდელი... და ოპოზიციაში ცხოვრებას იწყებენ ახალი ფურცლიდან“

(მეოთხე გვერდიდან)

როგორც ჩვენმა საუბარმა ცხადყო, ძალიან ბევრი შეკითხვა აქვთ ადამიანებს მის მიმართ, მისი განვლილი გზის მიმართ, ძალიან ბევრ დანაშაულზე ეკისრება პასუხისმგებლობა. არ მგონია, ბატონ გახარიას რაიმე გრანდიოზული შანსები ჰქონდეს მომავალი თვითმმართველობის არჩევნებისთვის. ის უბრალოდ ამ არჩევნებისთვის საკუთარ ძალებს გამოცდის, საკუთარ პულსს გასინჯავს და დაადასტურებს, რომ დამოუკიდებლად, „ოცნების“ გარეშეც რაღაცა შეუძლია.

— მედია და ფინანსური რესურსი ახსენეთ, გახარიას, რომელსაც ხელისუფლებამ პრაქტიკულად სახელმწიფო ღალატში დასდო ბრალი და ამ საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა, ფიქრობთ, რომ შესაძლოა კავშირი ჰქონდეს კეზერაშვილის თანხებთან?

— სიმართლე გითხრათ, მაგ საკითხთან დაკავშირებით ვერაფერს ვერ გეტყვით. შიდა პროცესებში არ ვარ ჩართული, მაგრამ გარედან ამ კაცს არაფერი არ ეტყობა იმისა, რომ ვინმე ფინანსურად უჭერს მხარს, ან მედიარესურსები აქვს. ვფიქრობ, რომ ხელისუფლებაც ძალიან უსამართლოა მის მიმართ. იმ გაგებით, რომ რაც კარგი იყო მისი ხელისუფლების დროს, ამბობს, რომ ეს ყველაფერი „ქართული ოცნების“ დამსახურებაა და რაც ცუდი იყო, ის ყველაფერი გახარიას პასუხისმგებლობაა.

ასე ერთმნიშვნელოვნად არ ხდება. როცა ხელისუფლებაში ერთად ხართ, პასუხისმგებლობაც საერთოა. ის, რომ ოპოზიციაში გადადის, მას ყველაფერს ცუდს და საშინელებას ვერ გაატან. სამწუხაროდ, ირაკლი კობახიძის, მამუკა მდინარაძის და ასეთი სუბიექტების მცდელობა ასეთი გახლავთ — რაც „ქართული ოცნების“ დროს ცუდი ხდებოდა, ყველაფერი ამ ერთ ადამიანს დააბარალონ, რაც კარგი იყო, საკუთარ თავზე მიიწერონ. ეს უსამართლო დამოკიდებულებაც თვალსაჩინოა გახარიასთან მიმართებაში. ეს გახარიას წისქვილზე ასხამს წყალს.

— როგორ ფიქრობთ, დაპირისპირების მიუხედავად, გახარია არის ხელისუფლების მართული ოპოზიცია?

— მართული რამდენად არის, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ ზოგადად, ასე არის მთელს მსოფლიოში, რომ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მოდიან ერთი წიაღიადან, ერთი საფუძვლიდან, მათ უფრო ადვილად შეუძლიათ ერთმანეთთან მოლაპარაკება, ვიდრე იმ პარტიებს, რომლებიც სულ სხვადასხვა სოციალური ჯგუფებიდან და პოლიტიკური დინებებიდან არიან წარმოშობილი. გახარიასაც და დღევანდელ „ქართულ ოცნებასაც“ ერთად ბევრი საქმე აქვთ გაკეთებული. გახარიამ და „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან ბევრი რამ იციან ერთმანეთის შესახებ. ერთი ისტორია აქვთ, შეიძლება ძალიან ხანმოკლე, მაგრამ ერთად გაიარეს გზის ეს მონაკვეთი. შესაბამისად, მათ ძალიან ბევრი რამ აქვთ საერთო. შეიძლება დღეს კინკლაობენ, ერთმანეთს ებრძვიან, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მე მგონია, რომ ადვილად გამონახავენ ერთმანეთთან საერთო ენას და სასიკეთოდ ჭრილობებს ერთმანეთს არ, ან ვერ მიაყენებენ. დღევანდელი გადმოსახედიდან ასე ჩანს. იმიტომ, რომ ერთი ფესვიდან და ერთი წიაღიდან არიან. მე მგონია, რომ, რა თქმა უნდა, გახარია ოპოზიციური ძალა იქნება „ქართული ოცნებისთვის“, მაგრამ ეს სხვა ტიპის ოპოზიციაა. იმ ტიპის ოპოზიციაა, სადაც „ქართულ ოცნებას“ უფრო ადვილად მიესვლება, ვიდრე სხვა ძალებთან.

— როგორ ფიქრობთ, გახარია შეძლებს მთავარი ოპოზიციური ველიდან გაიყვანოს „ნაციონალური მოძრაობა“?

— გახარიას არ აქვს იმის რესურსი, რომ ჩააჩოჩოს „ნაციონალური მოძრაობა“; იმიტომ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავს ფანატიკური მიმდევრები, აქვს ძალიან ბევრი ფული, რომელიც წლების განმავლობაში წაგვგლიჯეს ჩვენ ჩვენი ბიუჯეტიდან, აქვთ სამი-ოთხი ტელევიზია, რომლებიც გამალებით მუშაობენ პროპაგანდისტული მანქანით და მექანიზმებით. ასე რომ, ეს რესურსი გახარიაში არ ჩანს და ეს ძალა მას არ ექნება.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

მეუღლის გვერდით, მთაწმინდაზე!...

ამბავი რვა ქალისა

სულ რამდენიმე ადამიანია, რომლებიც ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში მეუღლესთან ერთად დაკრძალეს. რადიო თავისუფლება რვა გამონაკლისის, რვა ქალის შესახებ მოგვითხრობს.



მარიამ მაყაშვილი

1921 წელს გენერალი კვინიტაძე ემიგრაციაში მარიამ მაყაშვილთან ერთად წავიდა, მათთან ერთად იყო მათი სამი გოგონა (ივდითი, თამარი და ნინო) და ძიძა ბაბალე მრელაშვილი.

„1921 წელს რუსების თავდასხმას რომ ელოდებოდნენ, თავდაცვის ფონდი შეიქმნა და ხალხი ძვირფასეულობას სწირავდა. მარიამ მაყაშვილმა მაშინ ვერცხლის კოვზები და კიდევ სხვა ვერცხლის ნივთები შესწირა.

ემიგრაციაში კვინიტაძეს ოჯახი რომ ერჩინა, ერთი პერიოდი გრამფირფიტების ქარხანაში მუშად მუშაობდა. მერე ბაბალეს გაკეთებული მაწონი ფრანგ ექიმს მიართვეს. მას იმდენად მოეწონა, რომ მაწვნის შედედება და გაყიდვა დაიწყეს. ამით ოჯახმა ცოტა სული მოითქვა. თვითონვე წერს მოგონებებში, გენერალი კაცი მემაწვნე გავხდიო“, — ყვება ისტორიკოსი მამუკა წურწუმია.

გენერალი კვინიტაძე ემიგრაციაში 1970 წელს გარდაიცვალა. 10 წლით ადრე გარდაიცვალა მისი მეუღლე მარიამ მაყაშვილი.

ორი ოლღა გურამიშვილი

მეუღლის, ილია ჭავჭავაძის გვერდით არის დაკრძალული ოლღა გურამიშვილი.

ილიას მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ ოლღა მთაწმინდაზე გადასახლდა, უნდოდა ქმრის საფლავთან ახლოს ყოფილიყო. მის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე დაწერილ წერილში ვკითხულობთ:

„წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო საკუთრებათ ნეტარ ხსენებულის ილია ჭავჭავაძის სახლი, მდებარე ქ. ტფილისში, მეათე ნაწილში. ამ სასახლეში წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებამ დამითმო სადგომად სიკვდილამდენ, ეზოს მხრივ სამი ოთახი, სამზარეულო თავისი სარდაფით. ამ ოთახებში თუმცა მე დავბინავდი, მაგრამ სული მეკვეთებოდა, რადგან ერთი ოთახი ბნელია, მეორე პატარაა და მათში ჩემი ჭრილობებისა და ჯანმრთელობისთვის ნაკლები ჰაერია. მესამე კი ახლოა იმ პატარა ოთახთან, საიდანაც სიმყრალე გამოდის. ამ მიზეზისა გამო, მე ძალაუნებურათ დროებით ისევ ილიას კაბინეთში გადმოვსახლდი. მე დავრწმუნდი, რომ ჩემი დგომა ამ სახლებში, სადაც ილიამ და მე უკანასკნელი დრო გავატარეთ, შეუძლებელია როგორც ჩემთვის, ისე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვისაც...

მსურს ვიდგე მთა-წმინდის უბანში გზის პირას. ამ ახალი ბინიდამ მე ხშირათ, ჩემ სანუგეშოდ, ავალ ხოლმე წმინდა დავითის მონასტერში მგოსანი ილიას ნეშტის თაყვანისსაცემად.

ამ სოფელში მე სხვა საგანი არა მაქვსრა, გარდა იმ სურვილისა, რომ მე ილიას სახელი ვადიდო და მოვიხსენიო, მანამ პირში სული მიდგას. ეს სოფელი წარმავალია, როგორც ჩემი სევდით გატანჯული ცხოვრება. მე ჩემ სიცოცხლეში თუ რამე მექნება, ყველა სახსარს და ღონეს ამას შევწირავ“.

მთაწმინდაზე დაკრძალულია კიდევ ერთი **ოლღა გურამიშვილი,** ნიკო ნიკოლაძის მეუღლე. მაშინდელი ქალებიდან ის ერთ-ერთი იყო, რომელმაც განათლება საზღვარგარეთ მიიღო, საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში ასწავლიდა. იმ პერიოდში ქალი მასწავლებლები, არათუ საქართველოში, ზოგადად რუსეთის იმპერიაშიც კი ცოტანი იყვნენ.

ოლღა გურამიშვილმა და ნიკო ნიკოლაძემ 1883 წელს თბილისში დაიწერეს ჯვარი, შემდეგ კი პეტერბურგში დაბრუნდნენ, სადაც ნიკოლაძე იყო გადასახლებული. საქართველოში ჩამოსვლა მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეძლეს. დასახლდნენ სოფელში, დიდ ჯიხაიშში. 1894 წელს ოლღამ აქ ქალთა გიმნაზია გახსნა და პოლიტექნიკური სწავლება შემოიღო. როგორც ბუნებისმეტყველების სპეციალისტი, დაინტერესებული იყო, რომ ახალგაზრდებს სოფლის მეურნეობა საფუძვლიანად შეესწავლათ. იცოცხლა 1940 წლამდე და 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ორი ნინო

მთაწმინდაზე, დიმიტრი ყიფიანის გვერდით უნდა იყოს დაკრძალული მისი მეუღლე, **ნინო იაგორის ასული ჭილაშვილი,** თუმცა დღეს მისი საფლავი შემორჩენილი არ არის.

„საეკლესიო წიგნში მითითებულია, რომ მამადავითში წესი აუგეს სახელმწიფო მრჩეველის დიმიტრი ყიფიანის ქვრივს ნინო იგოროვნას (გვარი მითითებული არაა), რომელიც ასაკის გამო 1902 წელს 77 წლის გარდაიცვალა. დაკრძალეს ეკლესიის ეზოში. მანდ არც წარწერა, არც არაფერი არ ყოფილა. ვფიქრობ, რომ ის საფლავიც გაუქმეს, როგორც სხვა ყველაფერი“, — ამბობს მარინა დავითაშვილი.

საფლავი არის, მაგრამ დოკუმენტები — არა ლადო გუდიაშვილის მეუღლის ნინო მგელაძის განსასვენებელთან დაკავშირებით. ის 1995 წელს გარდაიცვალა და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს. მოწითალო მარმარილოზე ლადო გუდიაშვილის სახელისა და გვარის ქვეშ დიდი ასოებით „ნინო“-ც წერია, თუმცა პანთეონის დირექტორი ამბობს, რომ ამ დაკრძალვასთან დაკავშირებით ოფიციალური დოკუმენტაცია არ არსებობს.

ორი უცნობი ბავშვი

ცნობილი ფაქტია, რომ ალექსანდრე გრიბოედოვის გვერდით დაკრძალულია მისი მეუღლე ნინო ჭავჭავაძე, მაგრამ იქვე არის ორი პატარა ბავშვის საფლავიც, ამ ბავშვების ვინაობა კი არავინ იცის.

„იმ ადგილას ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილთაშვილებიც იყვნენ დამარხულები, რომლებიც პატარაობისას სახადით გარდაიცვალნენ. 1929 წელს საფლავის ქვები აიღეს, მშენებლობისთვის გამოიყენეს და ამიტომ გაურკვეველია ამ ბავშვების ზუსტი ვინაობა“, — ამბობს მარინა დავითაშვილი.

მარიკა

სიმონ ჩიქოვანი და მისი მეუღლე მარიკა ელიავა ერთდროულად გახდნენ ავად. სიმონი თანდათან ბრმავდებოდა, მარიკას — კიბო სჭირდა. ავადმყოფობას ერთმანეთსაც უმალავდნენ და სხვა დანარჩენებსაც. როდესაც სიმონი გარდაიცვალა, მთაწმინდაზე დაკრძალეს. მარიკამ იცოდა, რომ მას პანთეონში არავინ დამარხავდა და ანდერძი დატოვა, დამწვით და სიმონის საფლავს ჩემი ფერფლი მოაბნიეთო.

„სტუდენტობისას გაიცნო სიმონმა მარიკა. შორიდან დაინახა და იკითხა, ვინ

არისო. მერე მთელი ცხოვრება უყვარდა. სუსტი ფილტვები ჰქონდა მარიკას და ხან სად მკურნალობდა, ხან – სად, სიმონიც ყველგან ჩააკითხავდა ხოლმე. სიმონი რომ მოკვდა, მარიკამ წამლების მიღება შეწყვიტა, უნდოდა მალე მისწეოდა.

მარიკა 60-იან წლებში გარდაიცვალა, საქართველოში კრემატორიუმი არ იყო და მოსკოვში წაასვენეს. ფერფლის ნაწილი საფლავზე გაფანტეს, უფრო დიდი ნაწილი კი სიმონ ჩიქოვანის ფეხთით ჩაფლეს. სადღაც 10 წლის წინ ხელმოწერები შევაგროვე და, მერიის თანხმობით, მარიკას ფერფლი სიმონის გვერდით, იქვე გადავასვენეთ. ახლა მარიკას საფლავს წარწერაც აქვს“, — ყვება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი შარლოტა კვანტალიანი.

ისევ ნინო

„ჩემო ძვირფასო, რაღა მოგწერო! ნინო აღარა მყავს! ეს საკმარისია, ჩემი სულისკვეთება, ჩემი სიობლე, ჩემი მარტოობა და უმწეო მდგომარეობა უსიტყვოდ კარგად გაიგო.

რამდენჯერმე დავაპირე დაწერა, მაგრამ ვერ შევძელი. ნინოს ვიხსენებ, გული მესკვნება, ცრემლი მაწვება, სულ მოვიშალე, განსაცდელს ვერ ვურიგდები. გონებით მინდა, დავმშვიდდე, მაგრამ გული არ ემორჩილება. ეს სიბერის და სისუსტის შედეგია“, — წერდა ექვთიმე თაყაიშვილი მეგობარს იროდიონ სონღულაშვილს. წერილი ამჯერად ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე, **ნინო პოლტორაცკაია** ივანე პოლტორაცკის შვილი იყო. საქართველოში მცხოვრები პოლონელი თავადები შეძლებულ და წარჩინებულ ოჯახად მიიჩნეოდნენ. ნინო რამდენიმე ენას ფლობდა. მუსიკალური განათლება პარიზში მიიღო. მოგვიანებით, როდესაც ემიგრაციის გამო ისევ საფრანგეთში მოუხდათ გადახვეწა, პროფესია გაიხსენა და პარიზში ფორტეპიანოზე უკრავდა, კონცერტებს მართავდა, რომ თავი ერჩინათ.

„ძალიან მგრძნობიარე ყოფილა, საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე ცდილობდა ექვთიმესთვის ცხოვრება შეემსუბუქებინა. თავიდან ნინოს დიდი სიმდიდრე ჰქონია — მთაწმინდის მიწები. მაგრამ აღარაფერი შეარჩინეს. ექვთიმეს ბოლოს ერთ პატარა, სადავო ბინაში აღმოხდა სული. იხვეწებოდა, წიგნები მაინც მომაშორეთ, სუნთქვის საშუალება არა მაქვსო.

ნინო რომ ავად იყო, ექვთიმე ბოლომდე საავადმყოფოში, თავთან ეჯდა. ძალიან ცუდად იყო, როდესაც ის გარდაიცვალა“, — ყვება ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელი ესმა მანია.

ნინო პოლტორაცკაია საფრანგეთში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. მოგვიანებით ექვთიმე საქართველოს საგანძურთან ერთად ისევ თბილისში დაბრუნდა. განძით სავსე ყუთებით დატვირთული თვითმფრინავი უკვე უნდა გამოფრენილიყო, რომ შეატყვეს, ექვთიმე ფეხს ითრევდა. იცოდნენ, ცოლი როგორც უყვარდა და იფიქრეს, ალბათ, მისი საფლავის დატოვება ენანებაო, თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ ძველი, დაკონკილი ტანსაცმლით სამშობლოში ჩასვლის რცხვენოდა. მიუხედავად უკიდურესი სიდუხჭირისა, ოჯახს საგანძურის ერთი ნივთიც არ გაუყიდია.

მთაწმინდა ექვთიმე თაყაიშვილისთვის მესამე საფლავია, მანამდე ის ვაკეში, შემდეგ კი დიდუბეში იყო დაკრძალული. უკვე პანთეონში გადასვენების შემდეგ საფრანგეთიდან მთაწმინდაზე ნინო პოლტორაცკაიას ცხედარიც გადმოასვენეს.

თეა თოფურია,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

◎ ხუთი რგოლი

კარგიც, ცუდიც... და - ბრწყინვალეც!

საბოლოოდ დაზუსტდა, რომ ტოკიოს ოლიმპიადის ძიუდოისტთა ტურნირის მედლებს 5 კონტინენტის 129 ქვეყნის 391 წარმომადგენელი (199 კაცი და 192 ქალი) გაითამაშებს და მათ შორის კიმონოს 9 ქართველი ოსტატიც იქნება.

იაპონურ ტატამზე შემდეგი „ჯვაროსნები“ იჭიდავებენ:

კაცები

60 კგ. ლუხუმ ჩხვიმიანი; **66 კგ.** ვაჟა მარგველაშვილი; **73 კგ.** ლაშა შავდათუაშვილი; **81 კგ.** ტატო გრიგალაშვილი; **90 კგ.** ლაშა ბექაური; **100 კგ.** ვარლამ ლიპარტელიანი; **+100 კგ.** გურამ თუშიშვილი.

ქალები

52 კგ. ტატიანა ლევიცკა-შუკვანი; **57 კგ.** ეთერ ლიპარტელიანი.

ამასობაში გადაწყდა, რომ ქვეყნის დედაქალაქსა და მის სამ მეზობელ პრეფექტურაში აგვისტოს ბოლომდე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდეს და თამაშებზე მაყურებლები არ დაუშვან.

მთავრობას ასეთი ნაბიჯის გადადგმისკენ უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში მეგაპოლისში კორონავირუსით დაინფიცირების 920-მა შემთხვევამ უბიძგა.

სიმბოლურია, რომ მაშინ, როცა სამების საკათედრო ტაძარში წმინდანად შერაცხული დედოფლის – ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების სამშობლოში დაბრუნების ცერემონიალი მიმდინარეობდა, ოლიმპიურ პარკში ტოკიოში გასამგზავრებელი ქართული დელეგაციის ფიცის დადებისა და გაცილების ტრადიციული რიტუალი გაიმართა.

სულ იაპონიის დედაქალაქში 35 „ჯვაროსანი“ 11 სახეობაში იასპარეზებს და მათი სლოგანი იქნება „უკეთ, ვიდრე რიოში“, ჩვენი სპორტსმენები კი დიზაინერ სიმონ მაჩაბლის ესკიზების მიხედვით შექმნილი ფორმით შეიმოსებიან, მათ შორის – პარალიმპური თამაშების მონაწილე 6 სახეობის 16 სპორტსმენი.

რაც შეეხება ოლიმპიადის საზეიმო გახსნას, ორი მედროშე გვეყოლება – პლანეტის უღონიერესი ადამიანი **ლაშა ტალახაძე** და სამივე სინჯის მედლის მფლობელი, 52 წლის **ნინო სალუქვაძე,** ვისთვისაც ამმავალი მზის ქვეყანაში 23 ივლისიდან 8 აგვისტომდე გასამართავი ფორუმი კარიერაში მე-9(!) იქნება.

მთავრობის წევრთა, პრეზიდენტისა და დედაქალაქის მერის მონაწილეობით მოწყობილ ღონისძიებაზე დასახელდა საპრიზო ფონდის ოდენობაც, რაც უპრეცედენტოდ სოლიდურია და თამაშების ლაურეატებს დამატებით სტიმულს მისცემთ, თავიც ისახელონ და, რაც მთავარია, საქართველოც ასახელონ. გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრმა გააჟღერა.

კერძოდ, ოლიმპიური ჩემპიონი მილიონი ლარით დაჯილდოვდება.

მოკლედ, ბა ბურთი და ჰა მოედანი!

ცნობისთვის: სულ ოლიმპიურ მედლებს 205 ქვეყნის 11 ათასი სპორტსმენი გაითამაშებს, „ჯვაროსანთა“ პირველი ნაკადი კი, მათ შორის – ძიუდოისტები, ძალოსნები და მოკრივეები – ტოკიოში გუშინ გაემგზავრნენ.

რაც შეეხება 6 აგვისტოს, ამ დღეს სარბიელზე უკანასკნელი ქართველი ოლიმპიელი, კარატეში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, 37 წლის **გოგიტა არქანია** კუმიტეში იბრძოლებს მედლისთვის.

◎ ევრო – 2020

გაიმარჯვა ფეხბურთმა

მას შემდეგ, რაც არგენტინამ პარალელურად მიმდინარე კოპა ამერიკა მოიგო, სოციალურ ქსელში გაჩნდა პოსტები, ამ ორ ქვეყანას შორის ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების გამო გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში დაღვრილი სისხლი ფეხბურთის სამშობლოს ევრო– 2020-ზე გამარჯვების მორალურ უფლებას არ აძლევსო.

ნეტავ მეტი საჩოთირო საკითხი არ წამოჭრილიყოს – მაგალითად, თითქმის მთელი ტურნირის მასპინძლობა თუ ნახევარფინალში ისედაც საკმაოდ მძიმე ვითარებაში ჩავარდნილ დანიელებთან ნიდერლანდელი მსაჯის მიკელის დანიშნული ძალიან საეჭვო საბედისწერო პენალტი.

მართალია, ფინალში ნოვატორი რობერტო მანჩინის გაწვრთნილ „სკუადრა აძურასთან“ მატჩს მისი თანამემამულე, ოფიციალური მილიონერი კოლეგა კუიპერსი უძღვებოდა, მაგრამ მან ღირსეულად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და ამჯერად სამართალმა პური ჭამა – 1:1 (პენალტებით 3:2 იტალიელთა სასარგებლოდ), „პსჟ“-ს მეკარე ჯანლუიჯი დონარუმა კი ფორუმის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

ეს აპენინელთა მეორე მსგავსი ტიტულია და მხოლოდ ესპანეთსა და გერმანიას (3-3) ჩამორჩებიან.

◎ კოლეგა

მოწოდებით ლიდერი

რამდენჯერ გვსმენია უარყოფით კონტექსტში ამა თუ იმ პიროვნების შესახებ – ხელმწიფის ნავში ზისო.

დიახ, მონარქთან თუ თანამდებობის პირებთან ურთიერთობას დისტანციის დაცვა და საკუთარი ღირსების შენარჩუნება სჭირდება, მაგრამ როცა **მიხეილ აბაიშვილზე** ვსაუბრობთ, ამ შემთხვევაში მოზომილი სიტყვის მოძებნა ურთულესი ამოცანაა, რადგან არ გიტოვებს შანსს, მისი ნაკაიკაცარის შეფასებისას ეპითეტები დაიშურო.

მეორე ვადით არჩეული ჩვენი – საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, ერთი შეხედვით, ისეთ სტახანოვური ტემპებში ასწრებს უშუალო მოვალეობათა შესრულებას, გეგონება, ამას ხომ ყველა გასწვდებაო.

არადა, კოლეგები დამეთანხმებიან, რამდენ ძალისხმევას, ენერგიას, ნებისყოფასა თუ სპონსორ-ინვესტიციათა მოზიდვის უნარს მოითხოვს თითოეული წიგნის, ბროშურისა და ბუკლეტის დაბეჭდვა, მედიის წარმომადგენელთა მივლინებებში გაშვება, ჩვენი ამქრისა თუ სპორტული სამყაროს დამსახურებულ წარმომადგენელთა დაჯილდოებისადმი მიძღვნილი ტრადიციული ღონისძიებების ორგანიზება, ისევ და ისევ ცხოვრებისეული მოწოდების საკეთილდღეოდ გადასადგმელ ნაბიჯებთან დაკავშირებულ პროექტებში აქტიური მონაწილეობა, საზოგადოებისათვის საჭირბოროტო პროცესების თაობაზე პირუთვნელი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვა, უბრალოდ, სამეგობროსთვის სიკეთის ქმნა და, რაც მთავარია, ძვირფასი ოჯახის სამაგალითოდ გაძღოლა.

ნახევარსაუკუნოვან იუბილეს გილოცავთ, ძმაო.

◎ კოპა ამერიკა

ენას ძვალიც ჰქონია

საინტერესოა, აწი რაღას იტყვიან ოპონენტები, რომლებიც ლეო მესის დასაკნინებლად დიამბეგივით რაკრაკებდნენ – სანაკრებო ტიტულები არა აქვსო.

ჯერ ერთი, გაურკვეველია, რას უწუნებდნენ ოლიმპიურ და ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონობას. აღარაფერს ვამბობთ ოქროს ბურთის ექვსჯერ(!) დაუფლებაზე, ლა ლიგის 10(!) „ოქროზე“, ჩემპიონთა ლიგაში ოთხჯერ ტრიუმფსა თუ სხვა უამრავ საკლუბო და ინდივიდუალურ ჯილდოზე. მოკლედ, კოპა ამერიკის მეოთხე ცდაზე მოგებით (წინა სამის ფინალისტობაც არ დაგავიწყდეთ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობასთან ერთად) არგენტინელმა ჯადოქარმა ყველას მოაკეტინა, მით უმეტეს, შარშან ჩატარებულმა ინტერნეტგამოკითხვამ იგი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენად აღიარა. დიახ, სპორტსმენად და არა უბრალოდ – ფეხბურთელად, რაც ასევე დიდი პატივი იქნებოდა.

სხვათა შორის, მისმა ლეგენდარულმა წინამორბედმა დიეგო მარადონამ შთამბეჭდავი კარიერა ისე დაასრულა, აღნიშნულ ტურნირში გამარჯვება არ ღირსებია. ეს ისე, ცნობისათვის.

ბრაზილია – არგენტინა 0:1

გოლი: დი მარია (22-ე წთ)

მოგეხსენებათ, ახალი სამყაროს ფორუმისთვის არგენტინასა და კოლუმბიას უნდა ემასპინძლათ, მაგრამ კოვიდ პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო ბრაზილიაში გადაიტანეს, რომელმაც პირველად დათმო საშინაო ტურნირი, თანაც – „მარაკანაზე“.

საგულისხმოა, რომ ამ წარმატებით სკალონის გუნდი ურუგვაელებს დაეწია (15-15 ტიტული, ბრაზილიას – 9).

არანაკლებ ნიშანდობლივია, რომ ოლიმპიადის მსგავსად, „ოქროს“ გოლი ამჯერადაც დი მარიამ გაიტანა.

◎ ოკეანის გაღმა

დრაფტის მოლოდინში

როგორც მოგეხსენებათ, 29 ივლისს გასამართავ ნბა-ს დრაფტში ქართველი კალათბურთელებიც მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც მანამდე იქაური კლუბების დამკვირვებელთათვის თავის მოწონებას ცდილობენ.

კერძოდ, 22 წლის **სანდრო მამუკელაშვილმა** 38 კოლეგასთან ერთად „მინესოტას“ ოთხდღიან კემპზე ივარჯიშა, ხოლო 206 სმ სიმაღლის „ილინოისის“ ყოფილმა უნივერსალურმა მოთამაშემ **გიორგი ბეჟანიშვილმა** ოფლი „ლეიკერსის“ დარბაზში დაღვარა.

ვიდრე ჩვენი თანამემამულენი მოლოდინის რეჟიმში არიან, გრძელდება ნბა-ს სუპერფინალური სერია.

აღსანიშნავია, რომ „ფინიქსმა“ მეორე საშინაო ბრძოლაც მოუგო „მილუოკის“, თანაც ამჯერადაც 118 ქულა ჩაუგდო მეტოქეს – 118:108 და სოლიდური უპირატესობით დაწინაურდა – 2:0.

ვისკონსინელებს ანტეტოკუმპფოს ფენომენალურმა თამაშმაც ვერ უშველა, რომელიც პარტნიორებს 42(!) ქულით შეეწია, მასპინძელთაგან კი, როგორც ყოველთვის, პოლი და ბუკერი გამოირჩეოდნენ.

მილუოკიში გამართულმა სერიის მესამე შეხვედრამ დაადასტურა, რომ მასპინძელთა ჩამოწერა ნაადრევია და გარკვეული ჯერაც არაფერია, ეს კი ანტეტოკუმპფოს დამსახურებაა, რომელიც ტრავმის მოშუშების შემდეგ სტახანოვური ტემპებით უბრუნდება ძველ კონდიციებს და ამჯერად პარტნიორებს 41 ქულით, 13 მოხსნითა და 6 პასით შეეწია.

მოკლედ, 120:100 „ბაქსის“ სასარგებლოდ, თუმცა წინ ისევ „ფინიქს სანზია“ – 2:1.

◎ ლეგენდა

როჯერის მიღწევები

მართალია, როჯერ ფედერერმა ვერ შეძლო დიდი სლემის ტურნირის სარეკორდოდ – ოცდამეერთედ მოგება, მაგრამ რამდენიმე მიღწევის ავტორი მაინც გახდა:

უიმბლდონზე 105-ე ბრძოლაში გაიმარჯვა და დაეწია რაფაელ ნადალს (ესპანელს ეს მაჩვენებელი „როლან გაროსზე“ აქვს); ლონდონში მეთვრამეტედ მოხვდა 8 საუკეთესოს შორის (14 – კონორსი, 12 – ჯოკოვიჩი); „დიდ სლემზე“ 58-ე მეოთხედფინალი ითამაშა (ჯოკოვიჩი – 50), თანაც ყველაზე ასაკოვანი მეოთხედფინალისტია (აგვისტოში 40 წლის ხდება).

თავის მხრივ, მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ეშლი ბარტი** 1980 წლის შემდეგ პირველი ავსტრალიელი ქალი გახდა, ვინც უიმბლდონი დალაშქრა, სულ კი კარიერაში დიდი სლემის მეორე ტურნირზე აჯობა ყველას, მათ შორის ფინალში – ჩეხ კაროლინა პლიშკოვას – 6:3, 6:7, 6:3.

ეს ამ უკანასკნელის მეორე მარცხია დიდი სლემის სატიტულო ბრძოლებში.

რაც შეეხება ვაჟებს, დიდი მარჩიელობა არ სჭირდება იმის გამოცნობას, რომ ფინალში იტალიელი მატეო ბერეტინის დამარცხებით ყველას **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** აჯობა – 3:1 (6:7, 6:4, 6:4, 6:3).

სხვათა შორის, რამდენიმე რეკორდს სერბი ვირტუოზიც შესწვდა: ფედერერისა და ნადალის მსგავსად, მეოცედ მოიგო დილი სლემის ტურნირი: გაიმეორე უიმბლდონის ტრიუმფატორების – ფედერერისა და პიტ სამპრასის მიღწევა – 6-6 გამარჯვება; კარიერაში 85-ე ტიტული მოიპოვა (მეტი მხოლოდ ჯიმი კონორსს, ფედერერს, ივან ლენდლსა და ნადალს აქვთ).

◎ ხე ნაყოფით შეიცნობა!

მამაშვილობის საძაგებელი

მუხანათი რამეა წუთისოფელიო, ტყუილად როდი მღერის **პოპულარული ანსამბლი.**

გადაავლეთ თვალი მწარე ქართულ აწმყოს და დარწმუნდებით, რომ ის მანკიერებანი, რაც, სხვათა მსგავსად, ჩვენც ათადან და ბაბადან მოგვყვებოდა დამღასავით, დღესაც გვიღრღნის როგორც სულს, ისე სხეულს და, თანამედროვეობას ვინღა ჩივის, დიდი ალბათობით, ესტაფეტასავით გადაეცემა მომავალ თაობებს თუ, რა თქმა უნდა, იქამდე საბოლოოდ არ გადავგვარდით.

ასეთი სუსხიანი შესავალი ჩვენი პოლიტიკური სპექტრის ოპოზიციურ ფლანგზე მეტასტაზებივით გაჩენილმა ეგრეთ წოდებულმა ოჯახურმა სიმსივნეებმა გვიკარნახა.

არა, ღმერთმა ყველა დაიფაროს აღნიშნული დამანგრეველი სნეულებისგან – აქ საუბარია იმ ფსიქოლოგიურ ტერორზე, რომელშიც, მეტ-ნაკლები დოზით, თანამემამულეებს ცნობილი დინასტიები ამყოფებენ (მამათა და შვილთა საუკუნოვანი ბრძოლის ცნობილი პასაჟები აქ არაფერ შუაშია).

სხვათა შორის, მათ შორისაც მოიძებნება თვისობრივი განსხვავებანი, მაგრამ დაწვრილმანების მიუხედავად საკითხის არსი არ იცვლება – გენეტიკა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად იჩენს თავს და ერთი შეხედვით კარგად შენიღბულ უკეთურობასაც სამზეოზე გამოიტანს.

ზემოთ განსხვავებანი ვახსენე და უკვე მოვიდა დრო, ფაქტებს მოვუხმო. მაგალითად, თუ **სანიკიძეების – ლევანისა** და **გუბაზის** შემთხვევაში მხოლოდ შვილის სამარცხვინო მოღვაწეობა და მკვლელობის გამოცხადებული სიტყვიერი ქრონიკა იწვევს საზოგადოების ზიზღსა და მრისხანებას, **ხოშტარიები – გოგი** და **ელენე** შეგვიძლია დუეტში დავასახელოთ, რბილად რომ ვთქვათ, უარყოფით პერსონაჟებად, რადგან, მამის მხრიდან ეროვნული ხელისუფლებისა და, პირადად პირველი პრეზიდენტის ღალატით დაწყებული, მისი მოძველბიჭო ნებიერა ასულით გაგრძელებული, ხან პოლიციელებს რომ ემუქრება თავების დახეთქვით, ხან პირში სასტვენგარჭობილი უშტვენს სოროსის გრანტებზე მიყიდულ არასამთავრობოთა საამებლად, ხან მთავრობის კანცელარიის თხუპნიაობას ითავსებს და ხანაც პარლამენტში გავრილოვისთვის მჩხავანა კატასავით გამასპინძლებით ახდენს ყოველგვარი ეროვნულისა და ზნეობრივის დისკრედიტაციას, სხვა

არაფერია, თუ არა მემკვიდრეობით ბოძებული და, 4 შვილის დედის მიერ ბეჯითად ატაცებული ანტი (გნებავთ – ვაი) ქართველობა, საფუძველს ნაშიერის მიერ „კაგებეშნიკთა“ სამჭედლოში – მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში მიღებული უმაღლესი განათლება რომ უმაგრებს...

ამავე კატეგორიას შეგვიძლია მივაკუთვნოთ **ბუღაძეებიც,** რომლებიც ასევე ორ ხმაში ანთხევენ ღვარძლსა და გესლს, ოღონდ სამხატვრო აკადემიის ყოფილი რექტორი ინტენსივობით აშკარად ჩრდილავს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრს, რომელიც საჯარო სივრცეში თითქმის აღარ ჩნდება და, ეტყობა, რატომღაც ჰგონია, რომ თუ ნაკლებად იტივტივებს ზედაპირზე, მისი დიპლომატობით შენიღბული ორპირობა ვინმეს დაავიწყდება.

რაც შეეხება ბუღაძეთა თაიგულს, მოგეხსენებათ, ბატონმა გიამ პედაგოგიურ მოღვაწეობაში დიდების ჯიღა ჯერ კიდევ მაშინ დაიდგა, როცა მისთვის საფიცარ ნაცთა მმართველობისას სტუდენტებს ლექციებზე ფურთხით ურთიერთობის ხელოვნებას აზიარებდა, ხოლო ახლახან უკვე საკუთარი შემოქმედების უკვდავყოფისთვისაც მოიცალა და განგაში ატეხა – უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან ჩემი ქმნილებანი გააქრესო.

მართალია, მალევე გაირკვა, რომ ექსპონატები ისევ დისლოკაციის ადგილს ამშვენებდნენ და დასახელებულ დარბაზში მიმდინარე კეთილმოწყობის სამუშაოების გამო, რათა არ დაზიანებულიყო, მხოლოდ დროებით ჩამოაფარეს საბურველი, მაგრამ მთავარს – იდეური მოწინააღმდეგის ჩაგვრის იმიტაციასა და ამით ზოგ-ზოგიერთებში თანაგრძნობის გამოწვევას ხომ მიაღწია სახვითი ხელოვნების ქურუმმა?

ისე, თქვენი არ ვიცი და მე კი მაინტერესებს, ნუთუ მართლაც ისეთი მასშტაბის მხატვარი ბრძანდება უფროსი ბუღაძე, რომ მის ვერნისაჟს საქართველოს პარლამენტი უნდა დაეთმოს? ვიმედოვნებთ, აღნიშნულ საკითხზე პროფესიონალები კომპეტენტურ გამოხმაურებას არ დაგვამადლიან.

და აი, მივადექით XXI საუკუნის ქართული მწერლობის მწვერვალს – ლიტერატურული პრემია „საბას“ ოთხგზის(!) লაურეატს **ლაშა ბუღაძეს,** რომელიც ტუალეტში კალმოსნობის აღიარებული ტრფიალია და შემოქმედებით წარმატებებს გემო, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი შვიდმნათობიერი ვარსკვლავის, წმინდა თამარ მეფის საძინებელში ხურუშიანი შეჭყეტითა და მისი პირადი ცხოვრების ფრაგმენტების არაკაცური შეფასებებით გაუსინჯა.

ამ ფონზე მეორეხარისხოვნად გამოიყურება სიტყვათა ის მარაგი, როგორითაც მეტყველებს არგუმენტებით შეიარაღებულ მეორე ბანაკის წარმომადგენლებთან უსაგნო პოლემიკაში შესვლისას დედაეკლესიის მტერი ეს მგზნებარე ნაცი: „შავრაზმელი“, „კრემლისტი“, „პუტინისტი“ და ასე შემდეგ.

რას ვიზამთ, კოკასა შიგან რაცა სდგასო, ჭეშმარიტება ყოფილა.

მართლაც, ხე ნაყოფით შეიცნობა!

გია პლატონიშვილი

სანთელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელის მომწერი, 1991 წლიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

თემურ ლორთქიფანიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გახსენება

ელენე (ლენა) კუჭუხიძე

წელს პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს, ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ELENE IROQDIONIS ASULO. ჩვენ შენი შვილების – თემურის და თენგიზის მეგობრები, კიდევ ერთხელ მოგიგონებთ განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით, ჩვენო საყვარელო ლენა დეიდა. ყოველ წელს გილოცავდით დაბადების დღეს 15 ივლისს და თქვენც გიხაროდათ თქვენი დაბადების დღის აღნიშვნა გაზეთის ფურცლებზე.

თითოეულმა ჩვენგანმა კარგად ვიცით დედის სითბო და სიყვარული...

ნათელი და სანთელი, ძვირფასო ლენა დეიდა.

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, რამაზ ხეცურიანი, მიხეილ სალაძე, ნოდარ ბოლოთაშვილი, ზურაბ ფოჩხუა, როლანდ გაბრიჩიძე, ამირან ნიკოლეიშვილი, ნოდარ უჯმაჯურიძე, ვაჟა გენგაშვილი.

ჯოჯოხეთის ბჭენიც ვერ სძლევენ ჩვენს ეკლესიას!

„არასდროს ულხინდა ჩვენს ეკლესიას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოველთვის იყო ეს იწროება და სირთულეები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენს ეკლესიაში იყვნენ და არიან ადამიანები, რომლებიც მიისწრაფოდნენ და მიისწრაფვიან ზეცისკენ და ამას აღწევდნენ, მიუღწევიათ და დღესაც აღწევენ“, – განაცხადა საქართველოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, მეუფე შიომ სვეტიცხოველში თორმეტი მოციქულის ხსენების დღესთან დაკავშირებით აღვლენილი წირვის შემდეგ.

„საოცარია, რომ ორი ათას წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მოციქულებმა იქადაგეს და დღეს ჩვენ კვლავ ვიკრიბებით ეკლესიაში და აღვასრულებთ იმავე მსახურებას, იმავე ევქარისტიას, ვეზიარებით იმავე წმინდა სისხლსა და ხორცს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ეს არის დასტური იმისა, რომ წმინდა ეკლესიაში ცხოვრობს და სუფევს სულიწმიდა. ყველა ეპოქაში ასე იყო, ყველა ეპოქაში, მიუხედავად სირთულისა და დევნისა, ეს ორი ათასი წელი შენდებოდა „შენობა“ ეკლესიისა, რომელიც დააფუძნეს მოციქულებმა, ორი ათასი წელი იყო და არის ეკლესიაში სისავსე სულიწმიდისა, სისავსე ჭეშმარიტებისა, რომელიც ვერანაირმა ცრუ სიბრძნემ, ცრუ მოძღვრებამ ვერ დაარღვია და ვერ მოერია, უფრო მეტიც, „ბჭენი ჯოჯოხეთისანიც“ კი ვერ სძლევენ მას, როგორც ამბობს უფალი იესო ქრისტე.

თქვენ იცით, რა გზა გაიარა მართლმადიდებელმა, ქრისტიანულმა ეკლესიამ მთელი ამ ოცი საუკუნის განმავლობაში, ეს გზა სავსე იყო დევნით, შევიწროებით, უსამართლობით, განხეთქილებებით, მწვალებლობებით, ამ მწვალებლობათა დამარცხებით და ა.შ. არასდროს ულხინდა ჩვენს ეკლესიას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოველთვის იყო ეს იწროება და სირთულეები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენს ეკლესიაში იყვნენ და არიან ადამიანები, რომლებიც მიისწრაფოდნენ და მიისწრაფვიან ზეცისკენ და ამას აღწევდნენ, მიუღწევიათ და დღესაც აღწევენ.

აი, ეს არის ღვთის სასწაული, რომლის მომსწრეც ვართ დღეს და ვმადლობთ ამისთვის უფალს, ვმადლობთ და გვჯერა, რომ, მართლაც, ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ სძლევენ ჩვენს ეკლესიას. მაგრამ აი, ამ რწმენასთან ერთად ჩვენი პასუხისმგებლობაც არის, მოვუფრთხილდეთ ეკლესიას, მოვუაროთ მას, რათა უბიწოდ შენარჩუნდეს მისი სწავლება, ძლიერი იყოს, რათა დღესაც იყოს შესაძლებლობა ამ სამოციქულო ქადაგების გაგრძელებისა, სამოციქულო სიტყვის ხალხისადმი მიწოდებისა, ეს არის მუშაობა – გონებრივი, სულიერი, გულისხმიერი, სწორედ ამისთვის ვართ მოწოდებულნი, რომ ჩვენი ეკლესია იყოს ძლიერი და მოქმედი“, – განაცხადა მეუფე შიომ.

გილოცავთ!
ის მუდამ ჩვენთან არის!

საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის,ზაქარია ფალიაშვილისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ბატონი ვაჟა აზარაშვილი იუბილარია.

საქართველოს კულტურის ფონდი გულითადად ულოცავს ბატონ ვაჟას დაბადებიდან 85 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას,დიდხანს სიცოცხლეს თავისი ძვირფასი ოჯახის და სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ!

თამაზ შილაკაძე

ანტიკური ვანი ანტიკურ პომპეის უმასპინძლებს



საქართველოში პირველად გამოიფინა არქეოლოგიური მასალა პომპეის არქეოლოგიური პარკიდან. გარდა ამისა, ეს პირველი შემთხვევაა, როცა მსგავსი მაღალი დონის გამოფენას რეგიონული მუზეუმი მასპინძლობს.

ექსპოზიცია, რომლის კურატორი პომპეის არქეოლოგიური პარკია, საქართველოში იტალიის საელჩოსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ორგანიზებით, იტალიურ კომპანია Glocal Project Consulting-სთან თანამშრომლობით ტარდება.

გამოფენის გახსნა დაგეგმილია 17 ივლისს 17:00 საათზე ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში. მნახველისთვის ის ღია იქნება 18 ივლისიდან სექტემბრის თვის შუა რიცხვებამდე ვანში, რის შემდეგაც საქართველოს დედაქალაქში გადმოინაცვლებს.

ელისო ბოლქვაძე უკმაყოფილოა

პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე კულტურის სამინისტროს ზოგიერთი სსიპ-ის მუშაობით უკმაყოფილოა და მიიჩნევს, რომ რამდენიმე მილიონი უმიზნოდ იხარჯება. ამის შესახებ მან კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე განაცხადა. გაერთიანებულ სხდომაზე ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილეს გიორგი კაკაურიძეს უსმენდნენ, რომელიც „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ საუბრობდა.



ელისო ბოლქვაძე დაინტერესდა, რამდენი სსიპ-ი არსებობს კულტურის სამინისტროში და არის თუ არა ყველა მოქმედი. გიორგი კაკაურიძის თქმით, ამჟამად 82 სსიპ-ი არსებობს და ბევრი მათგანი არასრულყოფილად ფუნქციონირებს. კაკაურიძის თქმით, სსიპ-ების დაფინანსების მექანიზმია მოსაფიქრებელი. ელისო ბოლქვაძემ განაცხადა, რომ ამ საკითხის მოგვარებისთვის კოლეგებთან ერთად იბრძოლებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

რესტორანს კულტურის ძეგლი არ უნდა შევნიროთ!

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ღია წერილი თბილისის მერიას!

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის შენობა, რომელიც მდებარეობს ათონელის ქუჩის № 9-ში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და დაცულია კანონით.

ნაგებობის სარდაფის მეპატრონე, მერიის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რესტორნის მოწყობას გეგმავს, რისთვისაც მძიმე ტექნიკის გამოყენებით, სამი მეტრის სიღრმეზე ჭრის კიბისთვის განკუთვნილ ღრმულს. გარდა იმისა, რომ კიბე არღვევს ძეგლის ფასადის მთლიანობას და მის ავთენტურ სახეს, გათხრის დროს დაზიანდა საძირკვლის ნაწილი, რაც აშკარად საფრთხეს უქმნის ნაგებობის ფიზიკურ მდგრადობას. ამასთან, ფიზიკური სამუშაოებისას დაზიანდა არქეოლოგიური ფენების სტრატიგრაფია და არტეფაქტები, რაც ძეგლის განზრახ ხელყოფას ნიშნავს და სამუშაოების დაუყოვნებლივ შეჩერებას საჭიროებს.

ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის მიუხედავად (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საგენტო და ჩვენი ცენტრი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და მნიშვნელოვანი ძეგლთა დაცვითი კვლევითი დაწესებულებაა ქვეყანაში), ნგრევის პროცესის შეჩერება ვერ ხერხდება და ვანდალური ქმედება ახლაც მიმდინარეობს.

კატეგორიულად მოვითხოვთ კულტურული მემკვიდრეობის კანონის სათანადო აღსრულებით სამუშაოების დაუყოვნებლივ შეჩერებას, ძეგლის გადარჩენას, საზოგადოებრივი სივრცის მთლიანობის შენარჩუნებას და მერიის არქიტექტურის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 16 ივლისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1429; ევრო - 3.7240;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3529;
100 რუბლი - 4.2057; თურქული ლირა - 0.3638;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8487;
1000 სომხური დრამი - 6.3320.

ამინდი 14 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+15,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+20,	დღე	+32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge